№ 6. წელიწადი პირველი. ფასი ყველგან 15 კაპ.

2/21
1929

# დროშა



მხატვარ ბროდსკის სურათიდან

**მიხეილ ივანეს ძე კალინინი**

**ათი წელი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს სათავეში**



„კრასინის“ ექსპედიციის გმირები სამოილოვიჩი, ჩუხნოვსკი და ექიმი სრედნევსკი დიდის ზეიმით მიიღეს საზღვარგარეთ. სურათზე—პროფ. სამოილოვიჩი ხელს აწერს საფრანგეთის აერო-კლუბის „ოქროს წიგნში“.



**ნადირ-ხანი**, რომელსაც ინგლისური გაზეთები დაჟინებით ასახელებენ აძანულახანის მეტოქეთ ავღანისტანის ტახტზე. ნადირ-ხანი გაურბის თავისი აზრის გამოთქმას ამ საკი თხზე და თავს აცხადებს შუამავლად, რომელიც მიზნად ისახავს ავღანისტანის დამშვიდებას. მხარს უჭერს ამანულას რეფორმებს, მხოლოდ საჭიროდ მიაჩნია მათი თანდათანობით გატარება.



**ჩარლზ ლინდბერგი**, ცნობილი თავისი გადაფრენით ამერიკიდან ევროპაში, დაუნათესავდა ბანკირ მორგანის მარჯვენა ხელს—შეერთებულ შტატების ელჩს მექსიკაში მორროუს, რომელიც იმ პირობით დასთანხმდა თავისი ქალიშვილის მითხოვებაზე ლინდბერგისათვის, თუ უკანასკნელი ხელს აიღებს ფრენაზე. ლინდბერგმა მიიღო ეს პირობა.



ინგლის-შეერთებული შტატების მეტოქეობამ სამხრეთ პოლიუსამდისაც კი მიაღწია. ამერიკელ ბერდის ექსპედიციამ სამხრ. პოლიუსზე დიდი აღელვება გამოიწვია ლონდონში. ბერდის მიერ აღმოჩენილი მიწების შეერთ. შტ. საკუთრებათ გამოცხადებამ კი სულ ძილი დაუფრთხო ინგლისელ იმპერიალისტებს. ამიტომ ინგლისი სასწრაფოთ აწყობს ექსპედიციას სამხრეთ-პოლიუსისაკენ, რომ არ ჩამორჩეს შეერთ. შტატებს. სურათზე ინგლისის ანტარქტიული ექსპედიციის მეთაური **დუგლას მაუსონი**



**გეორგ V**, ინგლისის მეფე, კვლავ ავათ არის. „მანჩესტერ გარდიენ“ იუწყება, რომ „მეფეს მეხსიერება შეუსუსტდა“. დაბეჯითებით ლაპარაკობენ მეფის მოადგილეზე, რომელიც გეორგ V-ის მოვალეობას შეასრულებდა მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით.



**ნ. ა. მოროზოვი** (შლისელბურგელი), რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის პატრიარქი, რომელსაც დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა მიმდინარე წელს. ნ. მოროზოვი არის ძველი ნაროდოვოლეცი, „ნარ. ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტ. წევრი და აქტიური მუშაკი. 1881 წ. ის დააპატიმრეს და დაამწყვდიეს შლისელბურგის ციხეში, სადაც დაჰყო 25 წელზე მეტი. ამჟამად პ. ფ. ლესგაფტის სახელობის ინსტიტუტის (ლენინგრადში) დირექტორია.



**სულთან ახმედ კაჯარი**, სპარსეთის ყოფ. შახი, რომელიც ამჟამად ინგლისელების ხარჯზე ცხოვრობს და, როგორც გაზეთები იუწყებიან, ჩუმ-ჩუმათ აღმოსავლური კოსმეტიკითაც ვაჭრობს. ამ რამდენიმე ხნის წინათ სირიაში გაიმართა კაჯართა დინასტიის ფარული თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა ყოფ. შახისათვის ტახტის დაბრუნების საკითხი. სჩანს, ინგლისი ახალ ინტრიგებს ამზადებს სპარსეთის წინააღმდეგ.



**სუ-ჩაო-ჩჟენი**, ჩინეთის პროლეტარიატის ერთი თვალსაჩინო ბელადთაგანი, რევოლიუციონერი-მებრძოლი, რომელიც შანხაიში გარდაიცვალა ამ რამდენიმე ხნის წინათ. ამხ. სუ იყო ჩინეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, მონაწილეობას იღებდა კომინტერნის მეექვსე კონგრესზე და პროფკავშირთა მერვე საკავშირო ყრილობაზე.



**ჯემს კუკი**, ცნობილი ინგლისელი მეზღვაური და მკვლევარი, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის კაცობრიობის ცოდნის გამდიდრებაში დედამიწის შესახებ. წარსულ წელს 200 წელი შესრულდა მისი დაბადებიდან, მიმდინარე წელს კი— 150 წელი, რაც ის მოჰკლეს ჰავაის კუნძულების ველურებმა, როცა ის მესამე მოგზაურობიდან ბრუნდებოდა ინგლისში.



**რაბინდრანატ თაგორი**, განთქმული ინდოელი მწერალი, რომელიც ამჟამად ჩინეთში იმყოფება. თაგორს განზრახვა აქვს ინახულოს საბჭოთა კავშირი.



ავტომობილი-დუქანი, რომელიც მუშაობს ბერლინის მიდამოებსა და ახლო მდებარე სოფლებში.



ვეფხვი—მემანქანე. მხეცების ცნობილი გამწვრთნელი ამერიკელი ნელსონი სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში პატარა ვეფხვის თანხლებით მ ვიდა. რედაქციის თანამშრომლები დიდათ გაოცებული დარჩნენ, როცა გამოირკვა, რომ ნელსონმა ვეფხვს მანქანაზე ბეჭდვა ასწავლა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6. 1929 წ. 31 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ ივანესძე კალინინი

## საკავშირო ცაკის თავმჯდომარე

## (1919 30 მარტი 1929)

## ლენინი ამხ. კალინინის შესახებ

...„რაც შეეხება სრ. რუსეთის ცაკის თ ვმჯდომარის ადგილს, იქ საჭ როა ისეთი ამხანაგის დაწინაურება, რომელიც პარტიის მოქმედების ხაზს საშუალო გლეხობის მიმართ განასახიერებს ისე, როგორც ეს დასახულ იქნა ჩვენს უკანასკნელ ყრილობაზე... ასეთი ამხანაგის მოძებნა შეიძლება და უნდა მოიძებნოს კიდეც. ტრანსპორტის გართულებისა და სამოქალაქო ომის გამო, ცნობების მიწოდებისა და გავრცელების საქმე ეხლა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. თუ მოვნახავთ ისეთ ამხანაგს, რ მელსაც ექნება მუშის პრაქტიკული გამოცდილება და რომელიც ამავე დროს გაცნობილი იქნება საშუალო გლეხის ცხოვრებასთან, ჩვენ შევსძლებთ ამ ამოცანის გადაწყვეტას. სწორედ ამ პირობებს აკმაყოფილებს ამხანაკ კალინინის—პეტროგრადელი მუშის კანდიდატურა.

ეს ამხანაგი, რომელსაც პარტიული მუშაობის უკვე 20 წლის სტაჟი აქვს, თვითონ არის ტვერის გუბერნიის გლეხი; მას მჭიდრო კავშირი აქვს გლეხობასთან და იგი ამ კავშირს არასოდეს არ სწყვეტს...

ჩვენს მთავარ ამოცანას წვრილ სამიწადმოქმედო ქვეყანაში შეადგენს მუშათა და საშუალო გლეხთა კავშირის უზრუნველყოფა, და ჩვენმა ღონისძიებებმა—მემამულეთა მიწათმფლობელობის მოსპობამ და გადამჭრელმა დახმარებამ საშუალო გლეხობისათვის,—უკვე გამოიღო ნაყოფი...

გადასვლა სოციალისტურ მიწადმოქმედებაზე ვერ წარმოგვიდგენია სხვანაირად, თუ არ საშუალო გლეხობასთან მთელ რიგ შეთანხმებათა ს ხით. ჩვენ კი ვიცით, რომ ამხანაგები, რომლებიც ყველაზე მეტად მუშაობდნენ რევოლიუციის პერიოდში, ყოველთვის ვერ ახერხებდნენ გლეხობასთან მიდგომას, როგორც ეს საჭირო იყო. ყოველ მათ შეცდომას იყენებდნენ მტრები, ყოველი ასეთი შეცდომა ართულებდა საშუალო გლეხობის ჩვენთან დამოკიდებულების საკითხს. და აქ დიდი მნიშვნელობა აქვს მოვნახოთ ისეთი ამხანაგი, რომელშიაც საშუალო გლეხი მთელი საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელის უმაღლეს თანამდებობაზე დ ინახავენ თავიანთ კაცს, რათა მათ შეიგნონ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება ქაღალდზე არ რჩება. ფართო მასები დაქანცული არიან მძიმე ბრძოლით, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მოკავშირეების რიცხვი იზრდება, ეს რიცხვი მალე ბევრად გაიზრდება. ეს დრო სამძიმოა საშუალო გლეხისათვის; უნდა მივიდეთ მასთან და გავაკეთოთ ყველაფერი, რათა საქმით ვუჩვენოთ მას, რომ მტკიცე განზრახვა გვაქვს გავატაროთ ცხოვრებაში ჩვენი ყრილობის გადაწყვეტილება

აი, ამიტომ ისეთი ამხანაგის კანდიდატურამ, როგორიც არის კალინინი, ყველანი უნდა გაგვაერთიანოს. მისი არჩევა ხელს შეუწყობს პრაქტიკულად ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების უშუალო ურთიერთობას საშუალო გლეხობასთან. დაე, საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა საერთო დახმარებით პირველმა დაიწყოს პრაქტიკული გამოცდილების შეძენა ამ საკითხში“.

## კარგი და ერთგული ამხანაგი

### ა. ენუქიძე

მიხეილ ივანეს ძეს ვიცნობდი ბევრი ხნის წინად ოქტომბრის რევოლიუციამდე: იგი იყო მელითონე მუშა, არა საკუთარი სურვილით მოგზაური, არალეგალური რევოლიუციონერის საუკეთესო თვისებებით დაჯილდოებული.

ეს თვისებები ეხლა ყველასათვის არ არის ცნობილი: ეს თვისებები მდგომარეობდნენ იმაში, რომ ყოველ პროფესიონალურ რევოლიუციონერს სწამდა პროლეტარული რევოლიუციის იდეის შეურყევლობა, შეკავშირებული მუშათა მოძრაობის ძალა, შეგნებული ჰქონდა პოლიტიკური, მტკიცედ დარაზმული ბოლშევიკური პარტიის მნიშვნელობა, მთელის არსებით სძულდა კაპიტალისტური წყობილება და იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად და მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების დასაპყრობად.

ყველა ეს თვისება ახასიათებდა მიხეილ ივანესძეს. და აქედან აუცილებლად გამომდინარეობდა ის, რომ იგი იყო კარგი და ერთგული ამხანაგი.

მიხეილ ივანესძემ რევოლიუციამდე გამოსცადა საპყრობილეებიც, გადასახლებაც და ყოველგვარი დევნაც, რომელიც მაშინ რევოლიუციონერი პარტიელი მუშაკის ხვედრს შეადგენდა. სად არ ყოფილა იგი: პიტერში, მოსკოვში, თბილისში,—ყველგან და ყოველთვის მუშაობდა სავსებით გარკვეული მიმართულებით.



დენის მეგობრული შარჟი

მას მტკიცედ სწამდა პროლეტარიატის კლასობრივი სიძლიერე, მას სწამდა მუშათა და გლეხთა კავშირი მემამულეთა და კაპიტალისტების თვითმპყრობელობის წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, და ამიტომ ოქტომბრის წინა დღეებში მიხეილ ივანესძე გადაჭრით მიემხრო შეიარაღებულ აჯანყებას დროებითი მთავრობისა და იმ პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც 1917 წელს ძალაუფლებას არსებითად უტოვებდნენ მემამულეებსა და კაპიტალისტებს.

მიხეილ ივანესძეს თვითონ უამბნია, როგორ აწინაურებდნენ მას პიტერელი მუშები მოულოდნელ თანამდებობებზე:

მაგალითად. 1917 წელს იგი წამოყენებული იქნა პეტროგრადის ქალაქის თავის ადგილზე. ეს სამუშაო მისთვის მოულოდნელი, უცნობი იყო, მაგრამ საჭირო იყო იმ ამოცანების შესრულება, რომლებსაც მას აკისრებდა პარტია და მუშათა კლასი, და მიხეილ ივანესძე, მიუხედავად მრავალი სიძნელისა, ასრულებდა ამ ამოცანებს. ამის შემდეგ იგი ხელმძვანელობდა დედა ქალაქის კომუნალურ მეურნეობას და ამ სამუშაოს იგი კარგად უძლვებოდა.

დავად შეხვდა. მას ეშინოდა, რომ ვერ გაუძლვებოდა ამ წინანდელზე უფრო მოულოდნელ და რთულ სამუშაოს. მაგრამ აქაც იგი იხსნა იმან, რომ იცოდა მუშებთან მიდგომა, იხსნა უბრალოებამ, თავმდაბლობამ და, რაც მთავარია, მუშათა და გლეხთა წრის უშუალო ცოდნამ.

მაშინდელი მდგომარეობა მოითხოვდა, რომ იმ კაცს, რომელიც ერთის მხრით, სახელმწიფო ხელისუფლების ავტორიტეტით იყო აღჭურვილი, ხოლო მეორეს მხრით—მუშათა და გლეხთა



**ამხ. ვ. ი. ლენინი და მ. ი. კალინინი 1918 წ.**

(სურათი გადაღებულია ხმოლნში)

მიხეილ ივანეს ძე პარტიაში ცნობილი იყო როგორც მუშა-პარტიელი და როგორც ყოფილი გლეხი, რომელსაც მთლად არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი სოფელთან.

ამიტომ, როცა ამხ. სვერდლოვის გარდაცვალების შემდეგ, 1919 წლის მარტში დაისვა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის საკითხი, ამხანაგებმა ვლადიმერ ილიჩის მეთაურობით ერთსულოვნად დაასახელეს მიხეილ ივანესძე. არჩევანი მართლაც კარგი გამოდგა და მიხეილ ივანეს ძეს დიდის კმაყოფილებით შეხვდნენ მუშათა და გლეხთა მასები.

იმ დროის პირობებში, როცა ჩვენი ქვეყანა განიცდიდა სამოქალაქო ომს, სამეურნეო ნგრევას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოუგვარებლობას და როცა გლეხობის ფართო მასებს არა ჰქონდათ შეგნებული ოქტომბრის გადატრიალებისა და საბჭოთა ხელისუფლების რაობა, საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში უნდა ჩამდგარიყო ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი სოციალური მდგომარეობით და თავისი ისოფლმხედველობით გამოხატავდა და შეათანხმებდა მუშათა და გლეხთა მასების ინტერესებს და სულისკვეთებას. ყველაზე უფრო გამოსადეგი ამ მხრივ ჩვენს პარტიაში ამხ. კალინინი იყო.

ამ ახალ დაწინაურებას სრ. რუსეთის ცაკის თავმჯდომარის უმაღლეს თანამდებობაზე მიხეილ ივანესძე მ[illegible] გაუ[illegible]-

ნდობით სარგებლობდა, უნდა ეარნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში და მილიონიანი მუშებისათვის განემარტა მიმდინარე ამბების მნიშვნელობა.

რევოლიუციის პირველ წლებში ჩვენი აგიტაცია ჯერ კიდევ არ იყო შეჭრილი ფართო მასებში, გაზეთები ცოტა იყო, პარტიული და საბჭოთა გავლენის გამავრცელებელი აპარატი სუსტი იყო და ამავე დროს საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის ძალების მაქსიმალურად ამოქმედება. ამიტომ მიხეილ ივანესძე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, მეტ დროს ატარებდა მოგზაურობაში რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში, ყველა ფრონტზე საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში. იგი, თითქმის ერთად-ერთია ჩვენს ამხანაგებს შორის, რომელმაც შემოიარა საბჭოთა კავშირის ყველა ადგილი, უშუალოდ გაეცნო ჩვენი უდიდესი სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშებსა და გლეხებს.

მას იცნობენ, იგი უყვართ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მუშებსა და გლეხებს, მას ენდობიან და სჯერათ მისი. მიხეილ ივანესძემ ასეთი პოპულიარობა მოიპოვა იმით, რომ იგი კარგად იცნობს მუშებსა და გლეხებს, რომ მას შეუძლია მოხერხებულად მიუდგეს ფართო მასებს, როგორც კმაყოფილ, ისე უკმაყოფილო მასებს.

იგი პირდაპირ და გულახდილად ელაპარაკება მუშებსა და გლეხებს, ყოველთვის პოულობს მათთვის გასაგებ ენას, მაშინვე აგრძნობინებს მუშათა და გლეხთა კრებას, რომ მისი მოტყუება არ შეიძლება და რომ თვითონ ის არასოდეს არ სცდილობდა მოეტყუებია ისინი, პირდაპირ გულწრფელად ეუბნება ყველაფერს.

საბჭოთა კავშირის მუშებთან და გლეხებთან უშუალო ურთიერთობის მეოხებით მიხეილ ივანისძე მელითონე მუშიდან და არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკიდან გადაიქცა ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთ მეტად გამოცდილ და მცოდნე ხელმძღვანელად.

დიდი ხანია ვმუშაობ მიხეილ ივანესძესთან და ვხედავ, წლითი-წლობით როგორ ემატება ცოდნა და როგორ იზრდება მისი გამოცდილება. ის ბევრს ჰკითხულობს, ბევრს მუშაობს დიდ საკითხებზე, მაგრამ მას დიდ ცოდნას აძლევს სხვადასხვა რესპუბლიკაში მგზავრობა და ფაბრიკებსა და ქარხნებში ყოფნა.

რუსეთის ცაკის და საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის სხდომებზე იგი ყოველთვის გაოცებს მრავალი რთული საკითხის პრაქტიკული ცოდნით და გამოცდილებით. ხოლო ისეთი საკითხების გადაწყვეტის დროს, სადაც საჭიროა მუშისა და გლეხის კლასობრივი ალღო, მიხეილ ივანესძე შეუდარებელია.

ყოველ წლიურათ უფრო და უფრო გრძნობ, რომ მიხეილ ივანესძე არა მარტო თავმჯდომარეობს რუსეთის ცაკის და საკავშირო ცაკის პრეზიდიუმების სხდომებზე და სესიებზე, არამედ ხელმძღვანელობს კიდეც მათ მუშაობას.

მიხეილ ივანესძის დიდმა გამოცდილებამ, ჩვენი რესპუბლიკების ცოდნამ, მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესების საერთო სახელმწიფო ინტერესებთან შეგუების უნარმა განსაკუთრებით იჩინა თავი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდეგ. იგი ყოველთვის უდიდესი ყურადღებით და განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობოდა იმ საკითხებს, რომლებიც შეეხებიან ეროვნულ რესპუბლიკებს. იგი მეტად ფხიზლად ეკიდება ყოველი ხალხის ეროვნულ და ყოფაცხოვრების თავისებურებას და არასოდეს არ სწყვეტს ასეთ საკითხების საქმის მდგომარეობის ზედმიწევნით შესწავლის გარეშე.

ტყუილად კი არ სცნობენ მას თავიანთ მეგობრად საბჭოთა კავშირის ერები.

როგორც პარტიული, მიხეილ ივანესძე გამსჭვალულია დისციპლინის უდიდესი გრძნობით, როგორც ძველ ბოლშევიკ-ლენინელს შეეფერება. საერთო მუშაობაში ივანე მიხელისძე კოლეგიალური კაცია. მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს, უდიდესი უფლება აქვს, ყველა საკითხის გადაწყვეტას იგი სცდილობს მხოლოდ და მხოლოდ კოლეგიალურად.

ყოველივე ზემოდ თქმული ვერ გამოხატავს იმას, რაც გულში მაქვს და სრულებით ვერ ხატავს მიხეილ ივანესძეს, როგორც საკავშირო „სტაროსტა“-ს მძლავრ ფიგურას. ეს სავსებით ბუნებრივიცაა: მისი მუშაობა ვერ მოთავსდება და არც შეიძლება მოთავსდეს პატარა წერილის ფარგლებში.

ა. ენუქიძე.

# საბჭოთა უნგრეთის 10 წ. თავი

ე. მ—ძე.

როცა მოკავშირეთა ჯარების იერიშების ზეგავლენით ავსტრო-უნგრეთში დაემხო მონარქია (ისევე როგორც გერმანიაში), ამ ნაფლეთებიდან შეკერილ იმპერიის „ნაციონალური მთლიანობა“ ხუხულასავით დაიშალა. ცენტრგამსრბოლ ძალებს, რომლებსაც წინად აკავებდა ავსტრიელი და უნგრელი ჟანდარმერია, უკვე აღარაფერი ეღობებოდა წინ და ფრანც-იოსების იმპერიის ნანგრევებზე სწრაფ აღმოცენდენ ახალი ეროვნული ერთეულები: შეიქმნა ჩეხო-სლოვაკია, ავსტრო-უნგრეთს გამოეყვენ პოლონეთის პროვინციები, სლავიანებით დასახლებული ოლქები და ბოლოს ავსტრო-უნგრეთის ყოფ. იმპერიას გამოეშალა მთავარი ბქე—უნგრეთი (1918 წ. ოქტომბერში).

უნგრეთის ხელისუფლების სათავეში მოქცეულ დემოკრატიულ პაციფისტურ კოალიციას, რომელსაც მეთაურობდა გრაფი კაროლიი, უნგრეთის ლიბერალური ბურჟუაზიის ბელადი, უნგრეთის ცალკე გამოყოფის ძველი მომხრე, იმედი ჰქონდა, რომ მოკავშირეები მეტის ლმობიერებით მოეპყრობიან ახალ ხელისუფლებას. მეორე მხრივ, მუშათა მასის ის ნაწილი, რომელსაც კიდევ სჯეროდა სოციალ-დემოკრატიის, და აგრეთვე გლეხობა, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ მთავრობაში, იმედოვნობდენ, რომ კაროლიის კოალიციონური მთავრობა შესძლებს მთელ რიგ მტკივნეულ სოციალური საკითხების გადაჭრას.

მაგრამ უნგრეთის ხალხის ფართე მასებისათვის ჩქარა დადგა იმედის გაცრუების დღეები. უნგრეთელმა კერენსკიმ (ასე უწოდეს შემდეგში გრაფ კაროლიის) ვერ შესძლო რაიმე ხელშესახებ შედეგების მიღწევა ვერც საგარეო და ვერც შინაურ ფრონტზე. ამ ნიადაგზე იზრდებოდა უკმაყოფილება არა მარტო მუშათა და გლეხთა, არამედ ფართე ბურჟუაზიულ წრეებშიც. რევოლიუციონურ განწყობილებათა ზრდა მშრომელთა შორის განსაკუთრებით უწყობდა ხელს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შედეგათ რუსეთიდან დაბრუნებულ ყოფ. ტყვეების მასა, რომელთა შეგნებაში ცოცხლად იყო აღბეჭდილი რ უ ს ე თ ი ს მუშებისა და გლეხების გმირული ბრძოლა ზავისა და მიწისათვის და რომლებსაც ასე თუ ისე შეთვისებული ჰქონდათ ამ ბრძოლის მეთოდები.

ამ, რუსეთიდან დაბრუნებულ ყოფ. ტყვეების მიერ მოტანილ რევოლიუციონური განწყობილების ზეგავლენას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ იმ დროს, როცა მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელსაც სოციალ დემოკრატები მეთაურობდნენ, წარმოადგენდა მკვდარ მოვლენათა განვითარების კუდში მოჩანჩალე ორგანიზაციას, ჯარისკაცთა საბჭო თანდათანობით ხდებოდა რევოლიუციის ცენტრათ და სათავეში ედგა მასების რევოლიუციონურ ბრძოლას.

რადიკალურ-ბურჟუაზიული კოალიცია ჩიხში მოამწყვდია საგარეო გართულებებმა და შინაურმა კრიზისმა. ფრანგ პოლკოვნიკ ვიქსის ულტიმატუმი, რომელიც შეეხებოდა ახალი სადემარკაციო ხაზის გაყვანას უნგრელებით და ეროვნულ უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, საბედისწერო შეიქნა კაროლიის მთავრობისათვის. კაროლიი იძულებული შეიქნა წინადადება მიეცა მენშევიკებისათვის, რათა უკანასკნელნი შეთანხმებოდენ კომუნისტებს და მათის დახმარებით შეექმნათ ახალი მთავრობა, რომელიც განამტკიცებდა კავშირს საბჭოთა რუსეთთან და წინააღმდეგობას გაუწევდა ანტანტის მადაგაპსნილობას.



ამხ. ბელა-კუნი
უნგრეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

საქმეა, რომ უნგრეთელ მენშევიკებს, რომლებსაც წილი მიუძღოდათ იმაში, რომ უნგრეთის კომპარტიის ბელადები—ბელა კუნი და სხვები ციხეებში იყვნენ გამომწყვდეული, მიეღოთ ეს წინადადება. ისინი „დასავლეთის“ ორიენტაციას იცავდნენ და მზად იყვნენ ფრანგ და ინგლისელ გენერლებისათვის მიენდოთ უნგრეთის საქმეების „მოწესრიგება“, მაგრამ სახელმწიფოში უკვე დაწყებული იყო ახალი რევოლიუცია, გლეხობა შეუდგა მიწების დატაცებას, მუშები—ფაბრიკა-ქარხნების დაკავებას და პროლეტარული კონტროლის დაწესებას წარმოებაზე: 19 მარტს ბუდაპეშტის მუშები გამოვიდნენ ქუჩაში დაპატიმრებულ კომუნისტების განთავისუფლების მოთხოვნით.

ამ რევოლიუციონური მოვლენების ზეგავლენით მენშევიკური პარტიის ცეკა იძულებული შეიქნა, უკიდურეს მემარჯვენეთა პროტესტის მიუხედავათ, მოლაპარაკება გაემართა ციხეში მჯდომ უნგრეთის კომპარტიის ცეკას წევრებთან.

ამ მოლაპარაკების შედეგათ 1919 წ. 21 მარტს უნგრეთში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება და ძალაუფლება გადავიდა რევოლიუციონურ მთავრობის საბჭოს—სახალხო კომისართა საბჭოს ხელში.

საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგა სოციალური რეფორმების გატარებას: გაატარა მრეწველობის, ბანკების და მიწების ნაციონალიზაცია, გამოცხადდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, გაადიდა მუშების ხელფასი, გააფართოვა სოციალური დაზღვევა, მუშები გადაასახლა ბურჟუაზიისათვის ჩამორთმეულ სახლებში და სხვ. ამასთანავე, მიღებული იქნა სასწრაფო ზომები რევოლიუციის სამხედრო ძალების შესაქმნელად: ჟანდარმერია და პოლიცია განიარაღებულ იქნენ და შეიარაღებულ იქნა მთელი ბუდაპეშტის პროლეტარიატი, მოხალისეობის საფუძველზე შეიქმნა წითელი არმია.



თეთრგვარდიელების მიერ ავსტრიის საზღვარზე მოკლულ საბჭოთა უნგრეთის სამხ. საქმეთა კომისარი სამუელ ტიბორი

ანტანტის სახელმწიფოებმა საბჭოთა უნგრეთს გამოუცხადეს ეკონომიური ბლოკადა, რომლის განხორციელებაში მოკავშირეთა გენერლებს აქტიურ დახმარებას უწევდნენ ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის მთავრობები, რომელთაც მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ. ამავე დროს დაიწყო სამხედრო ძალების თავმოყრა უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების გასასრესათ.

საბჭოთა რუსეთში—უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ ლენინი და სხვა ამხანაგები არ მალავდნენ, რომ პროლეტარიატის დ ი ქ ტ ა ტ ურა ასეთ პატარა ქვეყანაში, როგორც უნგრეთია, მოკლებული ეკონომიურ რესურსებსა და სერიოზულ სამხედრო ძალას, რომლის დაპირისპირება შეიძლებოდა ანტანტის არმიებისათვის,—განწირულია. ამიტომ, მიუხე-

დავათ იმისა, რომ თვით საბჭოთა რუსეთი, გარშემორტყმული თეთრგვარდიელთა ბანდებისა და ინტერვენტების არმიების რკალით, სერიოზულ დაბრკოლებებს განიცდიდა, ლენინი შეძლებისდაგვარად ცდილობდა შეემსუბუქებია საბჭოთა რუსეთის უმცროსი დის მდგომარეობა და ასეთი დირექტივა მისცა საბჭოთა უკრაინის არმიის სარდლობას:

„შეტევა გალიციისა და ბუკოვინის ნაწილში საჭიროა კავშირის დასამყარებლად საბჭოთა უნგრეთთან. ეს ამოცანა უნდა გადაიჭრეს რაც შეიძლება საჩქაროდ და ამ ამოცანების ფარგლებს გარეშე კი გალიციისა და ბუკოვინის არავითარი დაკავება არ არის საჭირო, ვინაიდან უკრაინის არმიამ მხედველობიდან არ უნდა გაუშვას თავისი ორი უმთავრესი ამოცანა, სახელდობრივ: პირველი, უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი—დავეხმაროთ დონბასს. მეორე ამოცანაა—რკინისგზებით მტკიცე კავშირის დამყარება საბჭოთა უნგრეთთან".

ლენინის დირექტივების შესასრულებლად საბჭოთა უკრაინის წითელი არმია გადავიდა შეტევაზე და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია, მაგრამ ინტერვენტებისა და დენიკინის არმიების მოქმედების გაძლიერებამ შეუძლებელი გახადა საბჭოთა უნგრეთისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის ამოცანის განხორციელება.

იმპერიალისტური რკალი საბჭოთა უნგრეთის გარშემო კი თანდათანობით ვიწროვდებოდა. სამხრეთ-საზღვარზე ყოფ. სალონიკის არმიამ დაიკავა მნიშვნელოვანი პუნქტი—ქ. სეგედინი. ამავე დროს დაიწყო ჩეხო-სლოვაკიისა და რუმინეთის არმიების შეტევა. აპრილის დასაწყისში საბჭოთა მთავრობამ მიიღო მოკავშირეთა ულტიმატუმი სადემარკაციო ხაზის უკან დაწევის შესახებ იმგვარად, რომ საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში რჩებოდა უნგრეთის სულ უმნიშვნელო ტერიტორია. მთავრობამ უარჰყო ეს ულტიმატუმი. მაგრამ მენშევიკების ბანაკში, რომელთაც უმძიმდა ეს ძალაუნებური კავშირი კომუნისტებთან, დაიწყო მოძრაობა „დემოკრატიული რეჟიმისაკენ" დაბრუნების სასარგებლოდ. მენშევიკები ყოველი ფეხის ნაბიჯზე უშლიდენ ხელს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების ცდებს. ეს ამოცანა მათ მით უფრო უადვილდებოდათ, რომ კომპარტია გაითქვიფა ახალ გაერთიანებულ უნგრეთის სოციალისტურ პარტიაში, რამაც დააბრკოლა მენშევიკებისგან მემარცხენე ფრთის ჩამოშორების და უკანასკნელის კომპარტიასთან დაახლოების პროცესი. ასეთ პირობებში ბრძოლა მენშევიკურ საბოტაჟთან და გამცემლობასთან მეტად ძნელი შეიქნა.

იმავე დღეს (4 აპრილს), როცა საბჭოთა მთავრობამ უარჰყო მოკავშირეთა ულტიმატუმი, მოხდა სახალხო კომისართა საბჭოს რეორგანიზაცია, რომელშიც გაძლიერდა კომუნისტური და მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული ელემენტები. იმავე ხანებში ჩატარებულმა საბჭოთა არჩევნებმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი ახალი ხელისუფლების პოლიტიკურად განმტკიცებას. ამასთანავე ერთად დაიწყო სამხედრო საქმის რადიკალური რეორგანიზაცია. მოეწყო უმაღლესი სამხედრო სარდლობა, ნაწილებში დაინიშნა პოლიტიკური კომისრები და სხვ. ყველაფერი ეს ხდებოდა იმ დროს, როცა ჩეხო-სლოვაკიისა და რუმინეთის არმიები ნელ-ნელა იწევდნენ წინ და ბუდაპეშტში აღწევდა ზარბაზნების შორეული გუგუნი. უნგრეთის პატარა საბჭოთა რესპუბლიკა სისხლისგან იცლებოდა უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ არ ნებდებოდა იმპერიალისტებს. ბუდაპეშტის თითქმის მთელი პროლეტარიატი იარაღით ხელში ებრძოდა რუმინეთის მემამულეთა და ჩეხო-სლოვაკიის მენშევიკების არმიებს.

მაგრამ ეკონომიური ბლოკადისა და მენშევიკების საბოტაჟის წყალობით სახელმწიფოში თანდათან უფრო ძლიერდებოდა სამეურნეო კრიზისი, ფულის კურსი ზღაპრულად დაეცა, საშინელმა სასურსათო კრიზისმა იჩინა თავი. ამავე დროს კონტრ-რევოლიუცია შეუდგა თავისი ძალების დარაზმვას. ვენაში შეიქმნა კონტრ-რევოლიუციონური ცენტრი, ფრანგების მიერ დაკავებულ ქ. სეგედინში კი უნგრეთის ახლანდელი დიქტატორი ხორტი შეუდგა თეთრგვარდიელთა ბანდების ორგანიზაციას.

მიუხედავათ ამ ჯოჯოხეთურ პირობებისა უნგრეთის საბჭოთა არმიამ მთელი რიგი სერიოზული დამარცხებები აგემა თავის მოწინააღმდეგეებს. წითელი არმიის ამ გამარჯვებებმა გამოიწვია კლემანსოს ნოტა საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ, თუ საბჭოთა უნგრეთის არმია სადემოკრაციო ხაზზე დაიხევდა. საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა ამ წინადადების განხილვაზე. ეს იყო 9 ივნისს.

14 ივნისს შეიკრიბა უნგრეთის საბჭოთა ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა ახალი კონსტიტუცია და დასთანხმდა კლემანსოს პირობების მიღებაზე. ამ ყრილობაზე აშკარად გამოირკვა, რომ მენშევიკური ლიდერების ნაწილს მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებს კონტრ-რევოლიუციის ბანაკში დაბრუნებისაგან. ამ ლიდერებმა გაილაშქრეს დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ და მოითხოვეს დემოკრატიული სისტემის აღდგენა.

იმ დროს, როცა მენშევიკები ცენტრში ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას, მთელ რიგ ოლქებში დაიწყო კულაკების აჯანყება, რომელიც ჩაქრობილ იქნა საგანგებო ზომებით. მაგრამ კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა ჩქარა ბუდაპეშტსაც მოედვა. მდგომარეობას ართულებდა კიდევ ის გარემოება, რომ მუშათა კლასის შეუგნებელ ნაწილში კრიზისისა და მდგომარეობის საერთო გართულების ზეგავლენით, თავი იჩინა ინდეფერენტიზმმა და სულით დაცემამ.

მენშევიკები უკვე აშკარად შეუდგენ უკან დახევას. წითელი არმიის მთავარსარდალი სოციალ-დემოკრატი ბემი და შტაბის უფროსი შტრომფელდი გადადგენ საბჭოთა რესპუბლიკისათვის ასეთ საბედისწერო მომენტში.

ბემის მაგიერ მთავარსარდლათ დაინიშნა მემარცხენე სოციალ-დემოკრატი ევგენი ლანდლერი. შტაბის უფროსად ახლად დანიშნული ჟიულიე აშკარა მოღალატე აღმოჩნდა. ის ხელს უშლიდა საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცხადებულ საყოველთაო მობილიზაციას და არ მოერიდა წითელი არმიის ოპერატიული გეგმის გაცემასაც კი.

მიუხედავათ ღალატისა და კონტრ-რევოლიუციის შემოტევის გაძლიერებისა, უნგრეთის საბჭოთა არმიამ ზესძლო შეტევაზე გადასვლა 20 ივლისს. მაგრამ ამ დროს იმპერიალისტებს წამოეშველა ბესარაბიიდან გადმოყვანილი რუმინელების ახალი არმია და დაიწყო საერთო შეტევა ბუდაპეშტზე. საბჭოთა არმია სასტიკად იქნა დამარცხებული. 30 ივლისს რუმინელები 30—40 კილომეტრის მანძილზე იყვნენ ბუდაპეშტიდან.

საბჭოთა მთავრობა გადადგა. ძალაუფლება გადავიდა პროფკავშირების ლიდერ მენშევიკებისაგან შემდგარ მთავრობის ხელში. 7 დღე იარსება მხოლოდ ამ მთავრობამ და ადგილი დაუთმო იოსიფ გაბსბურგის მიერ შედგენილ მთავრობას. მაგრამ მოკავშირეებმა უარი სთქვეს გაბსბურგის ცნობაზე უნგრეთის „მმართველად" და ნოემბერში ბუდაპეშტში შევიდა ხორტის „ნაციონალური არმია" და შესდგა ახალი მთავრობა კლერიკალ კარლ გუსარის მეთაურობით.

უნგრეთის საბჭოთა ხელისუფლების დამხობის პირველ დღეებიდანვე დაიწყო საშინელი თეთრი ტერორი, რომლის პირველი მსხვერპლი შეიქმნა საბჭოთა უნგრეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი ტიბორ სამუელი, რომელიც 1919 წ. 1-ლ აგვისტოს დახვრიტეს ავსტრიის საზღვარზე.

თეთრი ტერორი დღემდის გრძელდება უნგრეთში. ასე იძიებენ შურს მუშათა კლასზე უნგრეთის ბურჟუაზია და მემამულეები იმ შიშისათვის, რომელიც მათ განიცადეს უნგრეთის საბჭოთა მთავრობის $4^1/_2$ თვის არსებობის განმავლობაში.

ე. მ—ძე.



თავდაცვა-ავიაქიმის გორის სამაზრო კონფერენციის მონაწილენი (კონფერენცია შესდგა 21 მარტს).

# გზატკეცილების მშენებლობა ამერიკაში

ინჟ. ა. ჯორჯაძე.

ამ ცოტა ხნის წინად მე დავბრუნდი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც გასული წლის სექტემბერში გაგზავნილი ვიყავი გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს მიერ, რათა ადგილობრივ გავცნობოდი გზატკეცილების მშენებლობას.

ჩემთან ერთად გაგზავნილი იყო ლენინგრადის ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს უფროსიც.

ნიუ-იორკში ჩასვლის შემდეგ ჩვენ ისე შევიმუშავეთ მოგზაურობის მარშრუტი, რომ გავცნობოდით სხვადასხვა ტიპის გზებს სხვადასხვა კლიმატიურ, ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ პირობებში. მარშრუტის შემუშავების შემდეგ დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ ნიუ-იორკიდან.

პირველად დავათვალიერეთ ჩრდილოეთის შტატების გზები ნიუ-იორკიდან წყნარ ოკეანეს ნაპირამდე, შემდეგ გადავუხვიეთ სამხრეთისაკენ, მექსიკის საზღვრამდე, საიდანაც სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის შტატებით, ვაშინგტონზე გავლით, დავბრუნდით ნიუ-იორკში. სულ გზაში დავყავით დაახლოვებით 2 ნახ. თვეს.

გზის უდიდესი ნაწილი გავიარეთ ავტომობილებით, რომლებსაც გვაძლევდნენ შტატების საგზაო სამმართველოები. ავტომობილს ყოველთვის მართავდა საგზაო ადმინისტრაციის რომელიმე უმაღლესი აგენტი, რომელიც გზაში დაწვრილებით ახსნა-განმარტებას გვაძლევდა ჩვენთვის საინტერესო ყველა საკითხზე.

საერთოდ ავტომობილით გავიარეთ დაახლოვებით 7.000 კილომეტრი.

ამჟამად ამერიკელებს გაყვანილი აქვთ დაახლოვებით 800.000 კილომეტრი გაუმჯობესებული გზა ნახევრად მაგარი და მაგარი ზედაპირით, დაწყებული ჩვეულებრივი საურმე გზებით, რომლებიც მოფენილია ქვიშა-თიხის ნარევით, და გათავებული მაღალი ტეხნიკური კვალიფიკაციის გზებით—ასფალტითა და ბეტონით მოგებული გზებით.

გზაზე ავტომობილის გამოჩენა ძირიანად სცვლის გადაზიდვის ხასიათს და გზის ზედაპირს. ახალი პირობები გზატკეცილებს უსახავენ ახალ ტეხნიკურ ამოცანებს, უმთავრესად ზედაპირის სიმკვიდრისა და მტვერის მოსპობის მხრივ.

გზის ამოცანა ხდება არა მარტო ეკონომიკის, არამედ მეცნიერების საქმედაც. ამასთან ეს მეცნიერება დიდ სამეცნიერო-ტეხნიკურ შემოქმედებას მოითხოვს.



ხრეშ-მოყრილი გზა.




გვირაბი კოლუმბია-რივერის გზაზე (ორეგონას შტატი)

ამერიკის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში იხსნება საგზაო საქმის სპეციალური კათედრები, იბეჭდება ვრცელი კურსები და ჟურნალები საგზაო მშენებლობის შესახებ, ყოველწლიურად იმართება უდიდესი გამოფენები და ნაციონალური საგზაო ყრილობები. საცდელ უბნებზე და სამეცნიერო-საგამომკვლევო ლაბორატორიებში მექანიკოსები და ქიმიკოსები იკვლევენ გზის ზედაპირის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვ.

ამერიკაში საგზაო მშენებლობის ინტენსიური ზრდის მთავარი იმპულსი, რა თქმა უნდა, იყო ამ ქვეყნის საწარმოო ძალთა საერთო განვითარება, განსაკუთრებით ომის შემდეგ, უფრო კი—ავტომობილის გამოჩენა, რომელმაც კარგი გზა მოითხოვა.

ოფიციალური სტატისტიკური ცნობების მიხედვით, მოტორიანი ეტლების რიცხვი ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში 1927 წლის დამლევს 23 მილიონ ერთეულს აღწევდა, მაშინ, როდესაც მთელ დედამიწაზე არის სულ 29 მილიონი ასეთი ერთეული.

ისეთ შტატში, როგორიც არის კალიფორნია, რომელშიაც 5 მილიონი მცხოვრებია, ამჟამად არის 2 მილიონი ავტომობილი, ხოლო იმავე შტატის ქალ. ლოს-ანჟელოსში, რომელშიაც მილიონი მცხოვრებია, ერთნახევარ კაცზე ერთი ავტომობილი მოდის.

ავტომობილების ყოველწლიური პროდუქცია უკანასკნელ წლებში 3 მილიონ ერთეულს აღწევს და 1940 წლისათვის ამერიკელები ფიქრობენ ავტომობილების რიცხვი 50 მილიონამდე აიყვანონ, ე. ი. ყოველ ორ კაცზე დაახლოვებით ერთი ავტომობილი უნდა მოდიოდეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ციფრი საზღვრითი ზომა იქნება.

ავტომობილი ამერიკაში გაბატონებულია ყველგან. ამერიკელებისათვის ის ისეთ აუცილებლობად გადაიქცა, როგორც რკინის გზა, ელექტრონი, გაზი და სხვ. ავტომობილი იაფია და ხელმისაწვდომი გახდა ყოველ მოქალაქესათვის, რომლის კრედიტუნარიანობაც თვიურად რამდენიმე ათეული დოლარით არის შეფასებული. ავტომობილის მართვა იცის ყველამ—კაცმაც და ქალმაც. ავტომობილები ქალაქის ფილაქნებთან ერთი-ერთმანეთის მიყოლებით დგანან და ჩვენ ხშირად დიდი დრო გვეკარგებოდა, სანამ ჩვენი მანქანის გასაჩერებელ ადგილს ვიპოვიდით.

დიდი ქალაქების ქუჩებში ავტომობილები ხშირად განუწყვეტელი ჯაჭვით მისდევენ ერთმანეთს და აფერხებენ მოძრაობას. იმისათვის, რომ კვირა დღეს, ქალაქს გარეთ გასეირნების შემდეგ ნიუ-იორკის ცენტრალურ ნაწილში დაბრუნდე, 4-5 საათი უნდა დაჰკარგო.

ამდენი ავტომობილების მოძრაობის მოწესრიგების საკითხი უთუოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ამერიკელებისათვის. ამ საკითხის გადასაჭრელად ამჟამად ავტომობილების დაგროვების პუნქტებში თანდათან აწყობენ ორიარუსიან ქუჩებს და მრავალსართულიან გარაჟებს ავტომობილების დასაყენებლად.

ზოგიერთ საქალაქთაშორისო ხაზებზე, უმთავრესად ქალაქების მახლობელ უბნებში, ავტომობილების რიცხვი დღე-ღამეში 20.000-ს აღწევს. ეს ავტომობილები, რომლებიც ზოგჯერ დიდ სიჩქარეს ანვითარებენ, რეალურ საფრთხეს უქმნიან მოძრაობას. განსაკუთრებით საშიშარია ის ადგილები, სადაც საავტომობილო გზა რკინის გზის ლიანდაგს გადასჭრის. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკაში, მიუხედავად ინტენსიური საავტომობილო და სარკინიგზო მოძრაობისა, ასეთი გზა-ჯვარედინები დაცული არ არის, ქალაქებშიაც კი, სადაც რკინის გზის ლიანდაგი ქუჩებს გადასჭრის, ასეთ ადგილებს სპეციალური მოაჯირი არა აქვს გაკეთებული.

1927 წლის სტატისტიკით მატარებლებთან დაჯახების შემთხვევა იყო 14.500, აქედან 2.370 შემთხვევა სიკვდილით დამთავრდა.

ასეთმა ინტენსიურმა მოძრაობამ აიძულა ამერიკელები განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მოძრაობის მოწესრიგებისათვის. განსაკუთრებით დატვირთულ გზებზე მოტოციკლებით დადის სპეციალური საგზაო პოლიცია, რომელიც სასტიკად სჯის მოძრაობის წესების დამრღვევთ.

თითქმის ყველგან გზებზე დადგმულია დიდძალი გამაფრთხილებელი ნიშნები, მაგალითად, ოჰაიოს შტატში 15.000 კილომეტრ გზაზე დადგმულია 200.000 სხვადასხვა ნიშანი. იმ ადგილებში, სადაც ავტომობილების კატასტროფებს სიკვდილის შემთხვევები მოჰყოლია, დადგმულია ხის თეთრი ჯვრები. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ჯვრები შეიძლება კარგ გამაფრთხილებელ ნიშნებსაც წარმოადგენდნენ მანქანების მმართველებისათვის, მაგრამ მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას კი სტოვებენ.

უფრო საშიშარ ადგილებში, ვიწრო მოსახვევებში, ხიდებზე, რკინის გზის ლიანდაგის გადამჭრელ პუნქტებზე ეს ნიშნები ღამ-ღამობით განათებულია.

ძალიან გავრცელებულია თვითმაშუქი რეფლექტორული ფანრები, რომლებიც წითელ სხივებს უკუაქცევენ, როდესაც მათ მოხვდება ავტომობილის ფანრების შუქი.

მაგისტრალური მნიშვნელობის გზებზე ერთი-ერთმანეთისაგან მცირე მანძილზე მოწყობილია ავტომობილის დასადგომი სპეციალური ადგილები, სადაც შეიძლება სათბობი მასალის მიღება და შემთხვევის დროს საჭირო რემონტის გაკეთება.

ამჟამად ავტომობილი დიდ როლს თამაშობს სასკოლო საქმეშიაც. 40.000-მდე ავტობუსი ემსახურება ამერიკის ეხლანდელ სკოლას. ამ ავტობუსებს ყოველდღე გადაჰყავთ 900.000-მდე ბავშვი. ავტობუსების გარდა, ნახევარი მილიონი ბავშვი სკოლაში მიდის საკუთარი ავტომობილებით. ავტომობილითვე ზიდავენ ფოსტას და წვრილ ამანათებს, რომლებსაც ფოსტალიონი ანაწილებს გზის გასწვრივ დადგმულ სპეციალურ სტანდარტულ ყუთებში. უკანასკნელ დროს ვითარდება ავტობუსების მიმოსვლა დიდ მანძილზე. მგზავრებს ასეთ ავტობუსებში, სხვათა შორის, დასაძინებელი ადგილებიც კი ეძლევათ. ამერიკელი კვირა-უქმე დღეებში ისვენებს და შვებულებას ატარებს ავტომობილზე. მტვრიანი ქალაქიდან იგი ბუნების წიაღში გადის. თითქმის ყველა ავტომობილი ეხლა მზადდება დახურული კორპუსით, რაც ძალიან მოხერხებულია წვიმისა და ქარისაგან დასაცავად. გარდა ამისა, გამოსვლის დროს შეიძლება ავტომობილის დაკეტვა.

ბუნებრივია, რომ როდესაც ავტომობილს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკელების ცხოვრებაში, საგზაო საქმეც სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად გადაიქცა. გზების გაყვანა და გზებისათვის თვალყურის დევნება ეკისრება სპეციალურ საგზაო ორგანოებს. საგზაო მმართველობის მთელი სისტემა აგებულია გარკვეული და ჩამოყალიბებული სტრუქტურით.

საერთოდ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ამერიკელებმა საგზაო საქმეზე დახარჯეს 10 მილიარდი დოლარი. საგზაო მშენებლობის წლიური ბიუჯეტი 1927 წელს აღწევს 1,4 მილიარდ დოლარამდე; შემოსავლის მთავარი წყაროებია გადასახადი მიწებზე, სპეციალური საგზაო სესხები და, დასასრულ, გადასახადი ავტომობილებსა და ბენზინზე, რაც შეადგენს შემოსავლის 40 პროცენტს.

მიუხედავათ იმისა, რომ ამერიკელები ასეთ უდიდეს თანხებს ხარჯავენ საგზაო მშენებლობაზე და ამ უკანასკნელი რამდენიმე ათი წლის განმავლობაში გაიყვანეს დაახლოვებით 800.000 კილომეტრი გაუმჯობესებული ტიპის გზები, მათ ეხლაც აქვთ ჩვეულებრივი საურმე გზების, უმთავრესად სასოფლო გზების, უდიდესი ქსელი— დაახლოვებით 4.000.000 კილომეტრი. ვინაიდან ეკონომიური მოსაზრების მიხედვით შეუძლებელია საურმე გზების ასეთი ფართო ქსელის დაფარვა მაგარი ზედაპირით, ბუნებრივია, რომ ამერიკელებმა ყურადღება მიაქციეს აღნიშნული ტიპის გზების გაუმჯობესებისა და შენახვის უფრო იაფი საშუალების შემუშავებას. ამ საქ-



ასფალტ-ბეტონის გზა.

მეში ამ რიკას დიდი დამსახურება მიუძღვის იმ მხრივ, რომ მან პრაქტიკულად გადასჭრა საურმე გზის გაყვანისა და შენახვის ამოცანა გზის პროფილის მანქანური წესით დამუშავების საშუალებით. ამ შემთხვევაში სიმძიმის ცენტრი გადატანილია იმაზე, რომ გზის შეკეთება მუდამ და თავის დროზე ხდებოდეს სპეციალური საგზაო გრეიდერით, პლენერით და სხვა.

მოგებული გზებიდან უფრო გავრცელებულია წმინდა ხრეშით მოფენილი გზები. ასეთი გზა სპეციალური სატკეპნი მანქანით კი არ იტკეპნება, არამედ ავტომობილების მოძრაობით.

ამ რამდენიმე წლის წინად ზოგიერთ ინჟენერს სადავოდ მიაჩნდა ქვიშა-თიხით ან ხრეშით მოფენილი გზების მიზანშეწონილობა, ვინაიდან ასეთ გზებს ახასიათებს თვალსაჩინო ნაკლი— მტვერი, ავტომობილის შინების გაცვეთა და სხვ. მაგრამ ამჟამად აღნიშნული ტიპის გზების გაყვანისა და შენახვის მეთოდებში შეტანილია



ერთ-ერთი ტიპი იმ მანქანების, რომლებითაც სარგებლობენ საგზაო მშენებლობისათვის ამერიკაში

თვალსაჩინო გაუმჯობესება. საუცხოვო შედეგები გამოიღო გზის დამუშავებამ ბიტუმიანი ნივთიერებებით, უმთავრესად ნავთის ასფალტებით. ამის გამო ასეთი გზები ფართოდ გავრცელდნენ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ასეთი ტიპის გზებისადმი ინტერესის გაცხოველება აიხსნება მათი გაყვანის შედარებითი სიიაფით. ასეთი გზის ერთი კილომეტრის გაყვანა ჯდება 2.000-დან 4.000 დოლარამდე.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საგზაო პოლიტიკის ძირითად პრინციპს წარმოადგენს თანდათანობით გადასვლა უფრო სუსტი და იაფი ტიპის გზებიდან უფრო ძლიერ და ძვირ გზებზე, იმის და მიხედვით, თუ რამდენად იზრდება გზის დატვირთვა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ახლო მომავალში ამიერ-კავკასიაში გზატკეცილების მშენებლობა უნდა განვითარდეს უფრო დაბალი ტეხნიკური ტიპის გზების, განსაკუთრებით ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ქსელის გაფართოვების მხრივ. ამისათვის ადგილებზე უნდა მოხდეს ხრეშის კარიერების სპეციალური გამოკვლევა და სხვადასხვა მასალის შემოწმება იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად გამოსადეგია ეს მასალა გზებისათვის.

მაღალი ტიპის გზებიდან ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ადგილი უთუოდ უჭირავს ბეტონის გზას, რომელმაც ამჟამად თანდათან განდევნა უმაღლესი ტეხნიკური კვალიფიკაციის გზების ყველა სხვა ტიპები.

ბეტონის გზების საერთო სიგრძე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად 80.000 კილომეტრს აღწევს.

ასეთი გზა მართლაც საუცხოვოა საავტომობილო მოძრაობისათვის, ძალიან მკვიდრია და მინიმალურ ხარჯს მოითხოვს შესანახავად. მაგრამ ასეთი გზის გაყვანა მეტად ძვირი ჯდება— 14.000-დან 18.000 დოლარამდე ერთ კილომეტრზე, თუ ლიანდაგის სიგანე 6 მეტრს უდრის.

თავისთავად იგულისხმება, რომ გრანდიოზული საგზაო მშენებლობის მასშტაბმა გამოიწვია საგზაო მრეწველობის სათანადო ზრდა. მთელი რესპუბლიკა დაფარულია სხვადასხვა ტიპის საგზაო მანქანების და საშენებელი მასალის დამამზადებელი ფაბრიკა-ქარხნების ქსელით. სხვადასხვა მასალის—ხრეშის, ქვიშის, ცემენტის, ასფალტის, კლინკერის და სხვ. დამამზადებელი ფირმები და ქარხნები ერთიანდებიან ასოციაციებად, რომელნიც იმდენად ძლიერი არიან, რომ გადამწყვეტ გავლენას ახდენენ საგზაო პოლიტიკაზე.

უეჭველია, რომ ჩვენც, საგზაო მშენებლობის მომავალ გაფართოებასთან დაკავშირებით, სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ სხვადასხვა საშენებელი მასალის, კერძოდ, ნავთის და ბიტუმის ქანების დამუშავებას, რისთვისაც ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ ადგილობრივი ინიციატივა აღნიშნული მრეწველობის მოწყობის საქმეში. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა კავშირის ქარხნებში დიდი მასშტაბით დამზადდეს საგზაო მანქანები. უცხოეთიდან შემოტანილი უნდა იქნას მხოლოდ თითო-ოროლა ეკზემპლიარი ნიმუშების სახით. საგზაო სამუშაოთა რაციონალურად წარმოების საქმეში განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს კვალიფიციური მუშა ხელისა და ტეხნიკური პერსონალის მომზადებას.

ბევრი დაწერილა და ბევრი შეიძლება დაიწეროს კიდევ იმის შესახებ, თუ რა როლი და რა მნიშვნელობა აქვს კარგ გზას სახალხო მეურნეობაში და დროა, ბოლოს, საკითხი პრაქტიკულად დავსვათ იმ მასშტაბით, რომელიც უზრუნველჰყოფს საგზაო პრობლემის მთლიან გადაჭრას.

ინჟენერი **ა. ჯორჯაძე.**

# მასიური კონტროლის შტაბი

## მ. გ. ინსპექციის ყოველდღიური მუშაობა

### ი. წულუკიძე

ფართო მასიური თვითკრიტიკის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და საბჭოთა სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის პერიოდში არც ერთი დაწესებულება არ არის ისე პოპულიარული და ავტორიტეტით მოსილი, როგორც მუშათა და გლეხთა ინსპექცია. და ეს გასაგებიც



ფოტო—კოგანის

**უცდიან რიგს**

არის. თვითკრიტიკის ლოზუნგმა აამოძრავა მშრომელთა ფართე მასები.

ამ ლოზუნგის ცხოველმყოფელებისათვის ნოყიერი ნიადაგი იყო შექმნილი. თორმეტი წელიწადია ისტორიას ჩაბარდა ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი; იგი კაიხანია მოკვდა, მაგრამ როგორც მკვდარი ადამიანის ორგანიზმზე პარაზიტები, ისე ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში ძველი სახელმწიფოებრივი სისტემის ნაშთები ისევ განაგრძობენ სიცოცხლეს. არავინ არ განიცდის ამ ნაშთების ბოროტებას ისე, როგორც მშრომელი მასები. სწორედ ამიტომ ყველაზე მეტად ისინი არიან დაინტერესებული სამკვდრო-სასიცოცხლო იერიშით ეკვეთონ ამ ნაშთებს და საფუძვლიანად გასწმინდონ ნიადაგი, რომელიც ხელს უწყობს მათ აღმოცენებას.

ამიტომ არის, რომ ან მასების საუკეთესო ნაწილმა მოიმარჯვა ის ბასრი იარაღი, რომელსაც თვითკრიტიკა ეწოდება. დღეს მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი ამ იარაღით არის აღჭურვილი, მაგრამ არ კმარა მარტო შეიარაღება, საჭიროა გეგმა, ტაქტიკა, მასების აქტივობის ორგანიზაციულ კალაპოტში ჩაყენება.



ფოტო—კოგანის

**რკინისგზელი რჩევისათვის მივიდა იურისტკონსულტთან**

სწორედ ეს დიდი ამოცანა აქვს ნაკისრები მუშათა და გლეხთა ინსპექციას. იგი ხელმძღვანელობს მასებს, იგი აძლევს მშრომელთა თვითკრიტიკას სწორ, მიზანშეწონილ მიმართულებას. მ. გ. ინსპექციის გეზი სწორედ იქითკენ არის აღებული, რომ გაზარდოს ამ ფართო მასიური თვითკრიტიკის, მასიური კონტროლის მთავარ შტაბად. ინსპექციის მუშაობის ყოველი დღე მოწმობს, რომ იგი ნამდვილად ხდება ასეთ დაწესებულებათ. დღითი დღე იგი თავის გარშემო იკრებს მუშების და გლეხების მოწინავე აქტიურ ელემენტებს.

დიდი ხანი არ არის, რაც თვითკრიტიკა მასების ყოველდღიურ ამოცანად გამოცხადდა, მაგრამ დღეს უკვე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია არმია, რომელიც ნებაყოფლობით, დიდი ხალისით და ენტუზიაზმით კისრულობს წარსულ დროების ნაშთებთან მებრძოლის დიდ მოვალეობას.

ჯერ არ ნახავთ თქვენ მ. გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის საცდელ დარბაზში? აქ შეხვდებით თქვენ შორეულ კუთხეებიდან ჩამოსულ ქალამნებიან გლეხებს, დაზგის მუშებს, ყოფილ წითელარმიელებს, მშრომელ ქალებს, ქვრივ-ობლებს, საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლებს და სხვა, რომლებიც ელიან თავის რიგს, ელიან სათანადო ორგანოების გამოძახებას.

ყოველ მათგანს ერთი მიზანი აქვს. ეს მიზანია—გაააცნოს სახელმწიფო კონტროლის უმაღლესი ორგანოს საბჭოთა აპარატის ამა თუ იმ ნაკლს, რომელმაც იგი იმდენათ გაამწარა, რომ იძულებული გახადა ამ უზენაეს ორგანოსათვის მიემართა.



ფოტო—კოგანის

**საინფორმაციო განყოფილებაში გამალებით მუშაობს მაკრატელი. აქ სხვადასხვა გაზეთებიდან გროვდება მუშგლეხინისათვის საჭირო ყველა მასალები.**

ცენტრალური ადგილი, სადაც ლოდინის შემდეგ თავს იყრიან საცდელ ოთახში მოსულნი მშრომელნი, არის საჩივართა ბიურო. სწორედ ამ ბიუროში რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ერთი მეორეს სცვლიან მოქალაქენი.

რა აწუხებთ მათ? რაზე ჩივიან ისინი? პირველ ყოვლისა, ისინი სჩივიან დაწესებულებათა ბიუროკრატიზმზე, საქმეების გაჭიანურებაზე, მათ უყურადღებობაზე და გულგრილობაზე, შრომის კანონმდებლობის დარღვევაზე, მუშგლეხკორთა დევნაზე და სხვ. საჩივართა ბიუროს მშრალი ციფრები მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ იმაზე, რომ მშრომელნი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ითვისებენ მ. გ. ინსპექციის მნიშვნელობას და მის ამოცანებს. თუ გასულ წელს საშუალოთ თვეში შედიოდა 63 საჩივარი, ეხლა ეს ციფრი გაორკეცებულია. უკანასკნელი ორი თვის ციფრები გვაუწყებენ, რომ ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურებისა გამო ბიუროსათვის მიუმართავს 68 მშრომელს, შრომის კანონმდებლობის დარღვევის გამო—112-ს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შრომის კონფლიქტებზე შესულ საჩივართა ნახევარზე მეტი წარმოადგენს იმავე ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, მშრომელთა საქმეებისადმი ფორმალური მიდგომის და გულგრილობის პირდაპირ შედეგს, ბიუროკრატიზმით გამოწვეულ საჩივართა რიცხვი გადააჭარბებს საჩივართა საერთო რიცხვის 50 პროცენტს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში მონაწილეობს მშრომელი მასა და ეს მასა ამ ბიუროს სახით ორგანოთ, რომელიც ორგანიზაციულათ რაზმავს მას ბიურო-



ფოტო—კოგანის

**საჩივართა ბიუროში სარეგისტრაციო ბარათების მიხედვით ფიცხლავ აძლევენ ცნობას.**

კრატიულ უკუღმართობის კონკრეტულ შემთხვევების აღმოსაფხვრელათ, ამ ბოროტების კონკრეტულ გამომხატველების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

შრომის კონფლიქტებთან დაკავშირებულ საჩივრებში არის ისეთიც, რომელიც შემცირებაში მოყოლილ მოსამსახურეებისაგან არის შეტანილი. უდავოა რომ მეტი წილად სამსახურს გარეთ რჩებიან ჩვენი აპარატისათვის შეუფერებელი უცხო ელემენტები, რომელთა ბუნება ვერ ეგუება ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოებრივ სისტემას. გაწმენდის შემდეგ ასეთი პირები თავს დაჩაგრულათ და შეურაცყოფილად გრძნობენ



ფოტო—კოგანის

**მსუბუქი კავალერია სინჯავს საჩივრის წიგნებს.**

და დასახმარებლად მიმართავენ ინსპექციას. მიტომ არის, რომ მომჩივანთა შორის ჩვენ წავაწყდებით ხოლმე დეკლასიურ ელემენტებს, ყოფილ თავად-აზნაურობას, ძველ სამხედრო პირებს, ყოფილ სამღვდელოებას, პრანჭვა-გრეხის, „პომადის“ და ფ ოუმარილის მოყვარულ ქალბატონებს. დიდი გამოცდილება და დაკვირვება არ არის საჭირო, რომ გამოიცნო რამდენად გამოსადეგი არიან ისინი მშრომელთა ინტერესების სამსახურისათვის. საჩივართა ბიურო

ასეთ ელემენტებისათვის უდაბნოა, სადაც მათი ხმა რჩება ხმად მღაღადებელისა. იშვიათია მუშა, რომელსაც შეჰქონდეს საჩივარი სა-სახურიდან იოხსნის გამო. ორ თვეში შესულ საჩივრებიდან 90 პროც-ტი ეკუთვნის მოსამსახურეებს, ხოლო 5—10 პროც. მუშებს,



ფოტო—კოგანის

**დასვენებისათვის ამხ. მარქაროვთან. მსუბუქი კავალერია მოხსენებას აკეთებს.**

საჩივართა ბიუროზე არა ნაკლებ როლს ჩვენი ცხოვრების უკულმართობასთან ბრძოლაში თამაშობს ჩვენი მუშური პრესა, ჩვენი მუშ-გლეხკორთა არმია. ინსპექციის საინფორმაციო განყოფილებას გამოყოფილი ჰყავს საგანგებო მუშაკი, რომლის მოვალეობასაც შეადგენს თვალყური ადევნოს ამა თუ იმ დაწესებულებაზე მოთავსებულ შენიშვნებსა და წერილებს. განყოფილებაში ამ სპეციალურ მუშაკს გარდა დიდ მუშაობას ეწევა მაკრატელიც, რომელიც დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 ნახევრამდე გაზეთებიდან სჭრის წერილებს. და შემდეგ ეს წერილები დაუყოვნებლივ ეგზავნება ინსპექციის შესაბამის განყოფილებებს.

მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდ სამსახურს უწევს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გაუმჯობესების, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღების საქმეს ინსპექციის ფურცელი ჩვენს ყოველდღიურ გაზეთებში, ფურცელი, რომელიც უხვ მასალას იძლევა ჩვენი საწარმოების და დაწესებულებების, მათი მუშაკების უარყოფითი მხარეების გამომჟღავნებისათვის. მით უფრო დიდია ამ ფურცლის მნიშვნელობა, რომ მასში მონაწილეობს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა აქტივი, რომელიც ფხიზლად ადევნებს თვალყურს სახელმწიფო-სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას და ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობას მსჯავრს სდებს იმის მიხედვით, მისდევს თუ არა იგი კვალდაკვალ ჩვენი ცხოვრების საერთო წინსვლას.

საჩივართა ბიურო, ინსპექციის ფურცელი და ცოცხალი კავშირი მუშგლეხკორთან არ ამოსწურავს ინსპექციის მუშაობაში მასების მონაწილეობის ყველა ფორმებს. მშრომელი მასების და საბჭოთა საზოგადოებრიობის უშუალო მონაწილეობისათვის ინსპექციის კვლევა-ძიებითი მუშაობაში შემოღებულია სხვა ფორმებიც, რომელთაგან ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს ინსპექციის წინაშე წამოჭრილ საკითხების და კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგების განხილვა მუშა-მოსამსახურეთა ღია კრებაზე. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ამ ფორმას ჩვენს პირობებში აქვს ნოყიერი ნიადაგი.

ინსპექც. მუშაობაში მასების მონაწილეობის ყველაზე უფრო ცოცხალიდა რეალური ფორმა მოდგა ე. წ. მსუბუქი კავალერიის მუშაობა, რომელიც ემყარება უმთავრესად კომკავშირულ და უპარტიო მუშურ ახალგაზრდობის აქტივობას. მსუბუქმა კავალერიამ წარმატებით ჩააბარა თავისი პირველი გამოცდა აწ უკვე დამთავრებულ საბჭოთა არჩევნების დროს. მსუბუქი კავალერიის გატაცებულ, ენერგიულ მუშაობამ დიდათ შეუწყო ხელი მასების შემოქმედებას, მათ აქტივობას საბჭოთა არჩევნებში.

ამ არჩევნებს შემდეგ ყველასათვის უდაო გახდა მსუბუქ კავალერიის შემოქმედებითი უნარი და მისი უტყუარი საზოგადოებრივი ალღო. დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ეს ცოცხალი ძალა არ გამოეყენებია მუშათა და გლეხთა ინსპექციასაც, რომელიც სხვებზე ნაკლებ არ საჭიროებს ახალგაზრდობის დაუღალავ ენერგიას, მის უანგარო გატაცებას და ენტუზიაზმს.

და ჩვენ დღეს ვხედავთ მსუბუქი კავალერიის რამოდენიმე რაზმს, რომელსაც ინსპექციის სხვა ორგანოებთან ერთად თავის ზურგით გადააქვს ჩვენი აპარატის გაჯანსაღებისათვის წარმოებულ მუშაობის მძიმე ტვირთი.

მსუბუქი კავალერიის მუშაობა არ განისაზღვრება, როგორც ბევრს ჰგონია, მხოლოდ ამა თუ იმ დაწესებულების მოულოდნელი გამოკვლევით, რომელიც, უნდა ითქვას აშკარათ, მეტად ეფექტიანი და ნაყოფიერია.

მსუბუქი კავალერია უშუალო მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების გეგმიან გამოკვლევებში.

ჩვენი გაზეთების მკითხველებს ემახსოვრებათ, რომ მსუბუქი კავალერია იყო ერთერთი მთავარი ძალა, რომლის დახმარებითაც ამ რამოდენიმე კვირის წინად მ. გ. ინსპექციამ გამოიკვლია და შეისწავლა მთხოვნელთა მიღების წესი ჩვენს დაწესებულებებში. იგივე კავალერია პირველი ამოუდგა მხარში მ. გ. ინსპექციას, როცა ეს უკანასკნელი შეუდგა მუშათა დაწინაურების საქმის გამოკვლევას. კავალერიის ფხიზელ ყურსა და თვალს არ გამოპარვია უმნიშვნელო გარემოებაც კი, რომელიც ასე აფერხებს მუშათა წინ წამოწევას, საბჭოთა-სამეურნეო აპარატის გამუშურებას.

ამჟამად მიმდინარეობს მსუბუქი კავალერიის მიერ დაგროვილ მასალის შესწავლა და დამუშავება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მასალით მიღებული დასკვნები დაედება საფუძვლად ბრძოლას მუშათა დაწინაურებისათვის.

კავალერიის როლი ბიუროკრატიზმთან, დაუდევრობასთან, მცონარეობასთან და მსგავს ბიუროკრატიულ მოვლენებთან ბრძოლაში იმდენათ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ს. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო საკონტროლო კომისიის მე-4 პლენუმმა საჭიროდ დაინახა მოესმინა საგანგებო მოხსენება მსუბუქი კავალერიის მუშაობის შესახებ და მიელო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ მსუბუქი კავალერიის მუშაობას, ამ მუშაობის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას, როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

ამაზე ნაკლებ ნაყოფიერი არ არის ქვედა პარტიულ და პროფესიონალურ უჯრედების მონაწილეობა, რომელმაც ამჟამად იმდენათ ფართო ხასიათი მიიღო, რომ იგი უკვე გახდა ინსპექციის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მეთოდათ. მარტო ის რათ ღირს, რომ პარტიულ და პროფესიონალური ძირითადი უჯრედები ეწევიან სისტემატიურ მუშაობას იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ ტარდება ცხოვრებაში მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევის შემდეგ გამოტანილი დადგენილებები.

თუ ამას დ უმატებთ იმას, რომ ქალაქის საბჭოებთან მოწყობილია მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები, რომ ასეთი სექციები გადაწყვეტილია მოეწყოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და სასოფლო საბჭოებთან (საამისო პროექტი უკვე შედგენილია და დასამტკიცებლად წარდგენილია ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმში), ჩვენ მივიღებთ მასიურ კონტროლის ჩამოყალიბებულ სისტემას, რომელიც მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრე ის გაჯანსაღებისათვის წარმოებულ მუშაობის დას ყრდნობ ქვაკუთხედს და სოციალისტური მშენებლობის წარმატების უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს.

ამჟამად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვის კამპანია, რომელიც არის არა მარტო სამეურნეო ხასიათის ღონისძიება, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის კაპანია. რასაკვირველია, ინსპექცია ვერ დარჩებოდა ამ კამპანიას გარეშე. წარსული თესვის კამპანიებმა ჩვენი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების აპარატის მოუქნელობისა და უუნარობის გამო, ვერ გამოიღეს შესაფერი ნაყოფი. ინსპექცია იკვლევს ყველა იმ მიზეზებს, რომელთაც დააბრკოლეს წინანდელი კამპანიის წარმატებით დამთავრება, და ამავე დროს ამუშავებს ღონისძიებებს კამპანიის შემაფერხებელ გარემოებათა ასაცილებლათ. ამ საკითხზე მუშაობს არა მარტო ინსპექციის აპარატი, არამედ ის მასაც, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ინსპექციასთან. ორი-სამი დღის წინათ ინსპექციაში შესდგა თათბირი, რომელმაც არა მარტო დასახა პრაქტიკული ღონისძიებები თესვის წარმატებით ჩატარებისათვის, არამედ გამოჰყო მუშები, (მათ შორის ახალგაზრდებიც) კამპანის ხელმძღვანელობის გასაწევათ ადგილებზე.

არის კამპანიები, რომელთა ხელმძღვანელობა უშუალოთ ინსპექციას ევალება. ასეთია მაგალითად საბჭოთა აპარატის წმენდა. საამისო მუშაობა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში კაი ხანია სწარმოებს. ა. წ. 1-ლი აპრილიდან აპარატის წმენდა დაიწყება საქართველოშიც.

აპარატის გაწმენდა მ. გ. ინსპექციის გენერალური ამოცანაა ამჟამად.

ძველი წყობილების მემკვიდრეობა სხვა რესპუბლიკებზე ნაკლებ არ ამძიმებს საქართველოს სახელმწიფო, პროფესიულ, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების აპარატს, რომელნიც ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიწმინდონ სოციალურად უცხო და გახრწნილ ელემენტებისაგან—ყოფილ მემამულეებისა, კერძო მწარმოებლებისა, მეფის მთავრობის მაღალ თანამდებობის ჩინოვნიკებისა, გაუსწორებელ ბიუროკრატებისა და სახალხო ქონების პროფესიონალურ მფლანგველებისაგან.

მასებთან მუდმივი თანამშრომლობის, მათთან განუწყვეტელი კავშირის საშუალებით ინსპექციას უკვე დაგროვილი აქვს მასალა წმენდისათვის: მაგრამ ეს არ კმარა. საბჭოთა აპარატის გაწმენდა მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა. იგი წარმატებით ჩატარდება მხოლოდ იმ პირობით, თუ საკონტროლო ორგანოებთან ერთად მასში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი პროლეტარული საზოგადოებრივობაც. აპარატის გაჯანსაღება გულისხმობს არა მარტო უღირსი ელემენტების გაძევებას აპარატიდან, არამედ მის შევსებას მუშების, გლეხების, პროლეტარულ და გლეხურ ახალგაზრდობის და მშრომელ ქალების საუკეთესო წარმომადგენლებით. აუცილებელია აპარატის პირადი შემადგენლობის შემოწმებასა და შერჩევაში მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ უწყებასთან ახლო მდგომმა საზოგადოებრივობამ. (მაგ. კოოპერატიული აპარატის შ მოწმებაში—კოოპერატივის წევრთა აქტივმა, განათლების ორგანოების წმენდაში—განათლების მუშაკთა კავშირმა და სხვ.).

სწორედ ამ მჭიდრო თანამშრომლობას ემყარება ის გეგმა, რომელიც ეხლახან დაამუშავა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ და რომლის



ფოტო—კოგანის

**ამასაც „აწყენიეს“ და საჩივლელად მოვიდა.**

განხორციელებასაც უზრუნველყოფს მხოლოდ პროლეტარული საზოგადოებრივობის აქტივობა, ამ საზოგადოებრივობის დაინტერესება აპარატის გაჯანსაღების პრაქტიკული საკითხებით. მასების აქტივობაზეა დამოკიდებული აპარატის წმენდის გამარჯვებით დაგვირგვინება.

თავისი აქტიური მონაწილეობით აპარატის წმენდაში მშრომელმა მოსახლეობამ უნდა დაამტკიცოს, რომ მ. გ. ინსპექცია ნამდვილათ არის მასიური კონტროლის შტაბი.

**ი. წულუკიძე.**

# ჩვენი დროის სომხური ლიტერატურა

### ა. ს უ რ ხ ა ტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ ძირითადი გარდატეხა მოახდინა სომხურ ლიტერატურაში. უწინარეს ყოვლისა მან შესცვალა სომხური ლიტერატურის განვითარებისა და შემდგომი არსებობის ა დ გ ი ლ ი, შემდეგ ისე, როგორც სხვა საბჭოთა ქვეყნების ლიტერატურას, ახალი შინაარსი შთაბერა მას.

ოქტომბრამდე სომხური ლიტერატურა მრავალი საუკუნის განმავლობაში უმთავრესად კოლონიებში ვითარდებოდა, ე. ი. ეხლანდელი საბჭოთა სომხეთის ფარგლებს გარეთ. ამიერ-კავკასიის სომხური ლიტერატურა წარმოიშვა და ვითარდებოდა მხოლოდ თბილისში და, ნაწილობრივ, ბაქოში. ამიერ-კავკასიის ამ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში თავმოყრილი იყო სომხური მსხვილი ბურჟუაზია და ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც იმავე ბურჟუაზიას ემსახურებოდა. სწორედ აქ ყალიბდებოდა გაბატონებული კლასის მთელი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება. ხოლო იმ ტერიტორიის მიმართ, რომელშიაც ხალხის კომპაქტური მასა მოსახლეობდა, ეს ცენტრები „კოლონიებს“ წარმოადგენდნენ. ამ პუნქტების მთელ კულტურულ, სამხატვრო-ლიტერატურულ ცხოვრებას—თეატრს, მუსიკას, მხატვრობას, ლიტერატურას და ხელოვნების სხვა სახეებს არავითარი ორგანიული კავშირი, არავითარი უშუალო ურთიერთობა არ ჰქონიათ პროვინციასთან, სადაც ხალხის მასა მოკლებული იყო ყოველგვარ კულტურულ პირობებს.

ოქტომბრის რევოლიუციამ დაამხო ბურჟუაზიის ჰეგემონია, გამოიყვანა სომხური ლიტერატურა „კოლონიალური“ მდგომარეობიდან და მისი განვითარების ბაზისად გადააქცია სომხეთი, სადაც სცხოვრობს სომხეთის მშრომელთა კომპაქტური მასა—მუშები და გლეხები.

უკანასკნელ პერიოდში რევოლიუციის წინ სომხური ლიტერიტურა ისე, როგორც სხვა ქვეყნების ლიტერატურაც, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნიშან ქვეშ ვითარდებოდა. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, გახრწნის გზაზე შემდგარი კლასის ლიტერატურა დასაღუპავად იყო განწირული. თუ თვალს გადავავლებთ უკანასკნელ ათ წელიწადს ოქტომბრის რევოლიუციამდე, აგრეთვე დაშნაკების ბატონობის წლებს, დავინახავთ, რომ სომხური ლიტერატურა, როგორც ხელოვნება, სულთმობრძავ მდგომარეობაში იყო, ხოლო იმპერიალისტური ომის დროს სომხეთის ბურჟუაზიის და მის მებრძოლ ორგანო „დაშნაკცუტიუნ“-ის მჭიდრო კავშირმა მეფის თვითმპყრობელობასთან შოვინისტური განწყობილება შექმნა მასებში და ამ მოძრაობის ოფიციალური მელექსენი ხოტბას ასხამდნენ სომეხ მოხალისეთა რაზმებს, თურქეთის სომეხთა „განმანთავისუფლებელთ“. ისევ აღორძინდა ზოოლოგიური ნაციონალიზმის მოტივები და ეს ბრძოლის ჰანგები ცხოველ გამოძახილს პოულობდნენ ნაციონალიზმით მოშხამულ ატმოსფერაში.

როდესაც დიდმა რევოლიუციამ დაიქუხა, მთელ სომხურ ნაციონალისტურ ინტელიგენციას და კერძოდ მწერლებს გზა აებნათ. ნაციონალისტურ ნაჭუჭში მოქცეული ცხოვრება უკვე აღარ იძლეოდა შემოქმედების სტიმულს, ხოლო დიდმა პროლეტარულმა რევოლიუციამ ვერ ჰპოვა გამოძახილი უფრო „მემარცხენე“, დემოკრატიულად განწყობილ, წვრილბურჟუაზიულ მწერლებშიაც კი, რომელნიც ბურჟუაზიულ კლასს ემსახურებოდნენ. პირიქით, ოქტომბრის რევოლიუციაში ისინი ხედავდნენ დიდ სოციალურ უბედურებას, თავიანთი ეროვნული მისწრაფებებისა და იდეალების დაღუპვას. ოქტომბერმა და განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ჩვენს ქვეყანაში პირდაპირ თავბრუ დაახვია „ერისა“ და „სამშობლოს“ ბურჟუაზიულ მეხოტბეთ, თავდაყირა გადააბრუნა მთელი მათი იდეურ-პოლიტიკური ცხოვრება.

ერთი სიტყვით, სასტიკად დამარცხებულ კლასთან ერთად კვდებოდა მისი ლიტერატურაც, მისი პოეზია, მისი იდეალები.

შექმნილ ქაოსს მოეღო ბოლო, როდესაც ჩვენი ქვეყნიდან განდევნილ იქნენ მუშებისა და გლეხების მტრები და იქ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

რევოლიუციის ცხოველმყოფელმა სიომ დაჰბერა მთელს ჩვენს ქვეყანას და შემოქმედებით მუშაობაში ჩააბა მუშურ-გლეხური მასები და მათთან ერთად მშრომელი ინტელიგენციაც. და ყველა ის, ვინც პროლეტარულ რევოლიუციაში ხედავდა გამოფხიზლებულ ხალხთა განთავისუფლებას საკუთარ და უცხოელ დამმონებელთა უღლისაგან, მშენებლობის უხახავმა ენტუზიაზმმა მოიცვა.

საბჭოთა სომხეთმა სწრაფად იწყო ძალების მოკრეფა, და მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა და რუსეთის ძლევამოსილი პროლეტარიატის დახმარებით ის შეუდგა პოლიტიკურ და სამეურნეო ფრონტის განმტკიცებას. ამ ორი ფრონტის განმტკიცება ბუნებრივ პირობად გადაიქცა მესამე ფრონტის—კულტურული ფრონტის — განმტკიცების უზრუნველსაყოფად. კულტურული ფრონტის არსებობა და უზრუნველყოფა საკმაო იყო, რომ ლიტერატურულ ცხოვრებას თავი დაეღწია სიდამბლის მდგომარეობისაგან, ძირიანად შეეცვალა თავისი შინაარსი და პროლეტარიატის იდეებთან დაეკავშირებია თავისი შემდგომი განვითარების გზები.

ასე იქმნებოდა ახალი პროლეტარული კულტურული ცხოვრება იმ ქვეყანაში, სადაც ბურჟუაზიული კლასის ბატონობის დროს არც თეატრი იყო, არც მუზეუმი, არც პრესა და, თავის თავად იგულისხმება, არც ლიტერატურა. მაგრამ ყოველივე ეს საბჭოთა სომხეთში იქნებოდა განსაკუთრებით ძნელ პირობებში, იმ ქვეყანაში, რომელიც სავსებით გაპარტახებული იყო მისი პირველი მმართველების მიერ, რომელშიაც სრულებით არ არსებობდნენ მატერიალურ-ტეხნიკური და კულტურული შესაძლებლობანი.

საშინელ სიძნელეთა მიუხედავად, საბჭოთა ლიტერატურამ თავისი არსებობის მოკლე ხანში სულ რაღაც 6—7 წლის განმავლობაში,—უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს პროლეტარულ ლიტერატურაზე, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ჩვენი სინამდვილის მხატვრულად ჩამოყალიბების საქმეში. ეს სინამდვილე წინად „არაფერი“ არ იყო, მაგრამ ეხლა კი ყველაფრად გადაიქცა.

რა ლიტერატურული დაჯგუფებანი არსებობენ ამჟამად საბჭოთა სომხეთში? ამ რამდენიმე წლის წინად ერევანში დაარსდა „სომხეთის მწერალთა კავშირი“, რომელშიაც შედიან თითქმის ყველა ძველი მწერლები, შედიან ისეთებიც, რომლებსაც მხოლოდ შორეული დამოკიდებულება აქვთ ლიტერატურასთან (მაგალითად, ისეთები, რომლებსაც მთელ თავიანთ სიცოცხლეში რამდენიმე წერილი დაუწერიათ და ორი-სამი თარგმანი გაუკეთებიათ). ამ კავშირს ახასიათებს სრული უძლურება ლიტერატურული შემოქმედების სფეროში. ამ ჯგუფს დღემდე არ გამოუცია არც ერთი ისეთი ნაწარმოები, რომელიც ჩვენს რეალურ სინამდვილეს ხატავდეს. ამ კავშირის უნაყოფობა შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ მისი წევრების უმრავლესობა უკვე გაჭაღარავებულია და ბუნებრივია, რომ არ გრძნობს მისწრაფებას შემოქმედებითი მუშაობისაკენ ახალი სოციალისტური მშენებლობის პირობებში. მათ მხოლოდ ის აკავშირებს ჩვენს წყობილებასთან, რომ, მათი წარმოდგენით, საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით „სომხეთის ხალხმა“ მოიპოვა „თავისი ფიზიკური არსებობის უშიშროება“ და „თავისი ეროვნული კულტურის განვითარების საშუალება“. თავისთავად ცხადია, რომ ეს წმინდა ნაციონალური მიდგომაა, რაშიაც იფარება ნაციონალისტური ტენდენციები, რომლებიც ჩვენს პირობებში მოკლებულნი არიან იმის საშუალებას, რომ ლიტერატურულ ფორმებში ჩამოყალიბდნენ. მაგრამ კავშირმა მაინც მოაწყო რამდენიმე საჯარო გამოსვლა, რომლების დროსაც თავი იჩინა მათმა „არაკლასობრივმა“ დამოკიდებულებამ „სომხეთის ერისადმი“, როგორც რაღაც მთლიანი და განუყოფელი ერთეულისადმი, გამოირკვა აგრეთვე მათი რეაქციონურ-ნაციონალისტური შეხედულება მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნების ამოცანებზე.

„მწერალთა კავშირიდან“ განცალკევებით დგანან ძველი ცნობილი მწერლები—შირვანზადე და ავეტიკ ისააკიანი. პირველია მრავალი რომანისა და დრამატიული ნაწარმოების ავტორი, მეორე—დიდი ლირიკოსი და დიდი რომანის „უსტა კარო-“ს ავტორი. ისინი დიდ ხანს სცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, დაბრუნდნენ ჩვენში და მათ ჩვენს პოლიტიკურ თანამგზავრებად გამოაცხადეს თავი. შირვანზადემ თავი იჩინა კომედიით „მორგანის ნათლია,“ რომელიც ხატავს სომხეთის ბურჟუაზიული ემიგრაციის სრული გახრწნის სურათს. ავ. ისაკიანს კი ჯერ კიდევ არ მოუცია არაფერი ისეთი, რაც ჩვენს საბჭოთა სინამდვილესთან იყოს დაკავშირებული, თუ არ ჩავთვლით მის წმინდა პოლიტიკურ გამოსვლებს ჩვენს პრესაში.

მეორე ლიტერატურული ჯგუფი, რომელიც სომხეთში არსებობს, არის იმ თანამგზავრთა ჯგუფი, რომელნიც „მშრომელ მწერლებს“ უწოდებენ თავს. ამ ჯგუფის წევრების განსაკუთრებით მხატვრული მწერლები (მათ შორის კრიტიკოსებიც არიან) იჩენენ პროლეტარულ მწერლებთან მახლობელი თანამშრომლობის მისწრაფებას. მათ შორის ყველაზე უფრო ნაყოფიერად უნდა ჩაითვალონ დ. დემირჩიანი და სტ. ზორიანი, ნაწილობრივ ვ. ტოტოვენციც. უნდა

## გემი „საბჭოთა კავშირის ნავთის სინდიკატი“



შავი ზღვის ნავთის საზიდი ფლოტი გამდიდრდა ახალი თბომავალი გემით—„საბჭოთა კავშირის ნავთის სინდიკატი“, რომელიც აგებულია საფრანგეთში. მისი წყალწყვა უდრის 10.000 ტონას და შეუძლია ერთბაშად რამდენიმე ხარისხის ნავთის წაღება. „საბჭოთა კავშირის ნავთის სინდიკატი“ უკვე შეუდგა მუშაობას—ტუაპსედან ოდესაში წაიღო ნავთის პროდუქტების პირველი პარტია.

ითქვას, რომ ლიტერატურულ თანამგზავრთა რიცხვი საერთოდ დიდი არ არის, მაგრამ მათ შორის არიან კვალიფიციური მწერლები, განსაკუთრებით პირველი ორი, რომელთა ნაწერები ჩვენს პერიოდიულ გამოცემებში იბეჭდება. მათ ნაწერებს სახელმწიფო გამომცემლობაც უშვებს ცალკე გამოცემებად.

ზემოთ აღნიშნული თანამგზავრები აქტუალურ თემებს ეხებიან; ისინი ხატავენ ძველი და ახალი ეპოქის, ახალი და ძველი თაობის შეტაკებას საბჭოთა სინამდვილის პირობებში. მაგრამ პროლეტარულ მწერლობისაგან ისინი უმთავრესად იმით განსხვავდებიან, რომ მკაფიო კლასობრივ მიდგომას ვერ იჩენენ სოციალურ მოვლენებთან, თანამედროვეობის იმ საკითხებთან, რომლებიც საბჭოთა და პროლეტარულ საზოგადოებრიობას აღელვებენ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ ისინი სცდილობენ მისდიონ რევოლიუციას, შეითვისონ რევოლიუციონური კლასის მისწრაფებანი, უშუალოდ დაუკავშირდნენ მას. დ. დემირჩიანს ეს მისწრაფება განსაკუთრებით მკაფიოდ ემჩნევა მხატვრულ ნაწარმოებში „ნაცნობნი“ და მოთხრობებში, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალებში „ლიტერატურის სადარაჯოზე“ და „ახალი გზა“, ხოლო სტ. ზორიანს „ბიბლიოთეკის გამგე“-ში, „რევკომის თავმჯდომარე“-ში და მოთხრობაში „ვართაძორის კომუნა“, რომელიც ამჟამად იბეჭდება (ჟურნალ „ახალ გზა“-ში—„ნორ უგი“). თანამგზავრთა მემარცხენე გადახრა აშკარაა. ყურადღების ღირსია აგრეთვე ვ. ტოტოვენცის მოთხრობები („ამერიკელი ქალი“—კრებული და სატირა „დოქტორი ბურბონიანი“), რომლებშიაც გარკვევით სჩანს ავტორის გადახრა მარცხნივ. როგორც ვხედავთ, მემარცხენე თანამგზავრთა წარმატება თვალსაჩინოა, მაგრამ მათ კიდევ ბევრი უნდა იმუშაონ, რათა დასძლიონ მთელი რიგი ტრადიციული შემოქმედებითი პრინციპები და ჩამოაყალიბონ ახალი, რევოლიუციონურ თანამედროვეობის შესაფერი პრინციპები.

დანარჩენ თანამგზავრებზე არაფერს ვიტყვით, ვინაიდან მათ სომხეთში არ გამოუჩენიათ თავი რაიმე თვალსაჩინო, სოციალურად მნიშვნელოვანი ნაწარმოებით. რაც შეეხება იმ თანამგზავრულ ლიტერატურას, რომელიც სომხეთის გარეთ იბეჭდება (თბილისი, ბაქო,), ჩვენ მას სხვა დროს შევეხებით.

გადავიდეთ პროლეტარულ ლიტერატურაზე, რომელსაც უკვე ეხლა მტკიცე პოზიციები უჭირავს და მთელი თავისი არსებით გამარჯვების გზაზეა შემდგარი. იგი განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში გაიზარდა. ასპარეზზე უკვე გამოვიდნენ სავსებით ჩამოყალიბებული და მომწიფებული პროლეტარული პროზაიკოსები და პოეტები. პროლეტარული ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის ვხედავთ მთელ რიგ ისეთ მწერლებს, რომელთა შემოქმედება რევოლიუციამდე დაიწყო. მაგალითად: აკ. აკოფიანი, არაზი, ჩარენცი, ვშტუნი, აზუშავან ვარდანიანი, აბოვი და სხვები. ახლებიდან: ალაზანი, აქსელი-არაქსი, არმენი, მაარი, ნორენცი, სარიანი, ოვიკ მელიქიანი და სხვ. დამახასიათებელია, რომ მთელი ახალგაზრდობა, ყველა ახლად გამოსული ლიტერატურული ძალა მხოლოდ პროლეტარულ ლიტერატურას ემხრობა და გვერდს უვლის მწერალთა დანარჩენ ორგანიზაციებს და ლიტერატურულ მიმართულებებს. აქედან თითქოს გამოდის შემდეგი დასკვნა (ჯერ-ჯერობით თეორიული): აღნიშნული ორგანიზაციები და მიმდინარეობანი უნდა გაჰქრენ თანამგზავრთა ძველ თაობასთან ერთად და ლიტერატურული ასპარეზი უნდა დაუთმონ რევოლიუციონური კლასის ერთადერთ გამომხატველს—პროლეტარულ ლიტერატურას.

პროლეტარული ლიტერატურა, როგორც კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი, იზრდება რიცხვობრივად და ხარისხობრივად. იგი გამოხატავს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ცალკე მხარეებს, ეხება იმ მოვლენებსა და პრობლემებს, რომელნიც ჩვენს საზოგადოებრიობას აღელვებენ. ამრიგად, იგი თითონ არის მუშათა კლასის მიერ წარმოებული მშენებლობის აქტიური მონაწილე, ამ მშენებლობის ერთ-ერთი რაზმი. რა თქმა უნდა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, საშიშარი გადახრებისა და გულგატეხის განწყობილებების გარეშე. მაგრამ პარტიის ლოზუნგების მეოხებით საერთოდ აღებულია სწორი კურსი, პროლეტარული მწერლები თითონ განიცდიან მშენებლობის პათოსს. ამაშია მთავარი აზრი პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობისა, რომელიც მშრომელთა ფართო მასების ფსიქიკას აძლევს მიმართულებას სოციალიზმისაკენ, კომუნიზმისაკენ.

პროლეტარული ლიტერატურა ჩვენში ოქტომბრის დღეებში როდი შექმნილა: პროლეტარულ-შრომითი მოტივები უკვე ოცი წელიწადზე მეტია, რაც გაჩნდნენ სომხურ ლიტერატურაში. ეს მოტივები პირველად გამოჩნდნენ მუშათა მოძრაობის განთიადზე, განსაკუთრებით 1905 წლიდან. პროლეტარული ლიტერატურის ადრინდელი პერიოდის წარმომადგენელნი იყვნენ აკ. აკოფიანი და პოეტი ქალი შუშანიკ კურგინიანი. უფრო გვიან არაზი, ერთ-ერთი პირველი პროლეტარული პროზაიკოსი. მას მოჰყვა გ. ჰაიკუნი. მშრომელთა საბოლოო გამარჯვება—აი ჩვენი პირველი პროლეტარული მწერლების ლიტერატურულ ნაწარმოებთა ლეიტმოტივი.

მიუხედავად მთელი რიგი მიღწევებისა ამ დარგში, ჩვენ გვქონდა პროლეტარული ლიტერატურის მხოლოდ ჩანასახები. პროლეტარული ლიტერატურის შექმნა და მისი შესაძლებელი აყვავება ეკუთვნის პროლეტარული რევოლიუციის ხანას, დიდი ოქტომბრის ეპოქის დასაწყისს.

ოქტომბრის შემდგომი პროლეტარული ლიტერატურის პირველ პერიოდს ახასიათებს უკიდურესი აბსტრაქტულობა, კოსმიზმი, „ვულკანიზმი“ და საკმაოდ დიდი „პოლიტიკური ფრაზეოლოგია“. ადგილი არ ჰქონდა ახალი რეალური პირობების კონკრეტულად ათვისებას, მაგრამ ეს უმთავრესად პოეზიას ახასიათებდა. ხოლო პროლეტარული პროზა, რომელიც კი გვქონდა პირველ პერიოდში, ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან, ამა თუ იმ სახით გამოხატავდა ჩვენს რევოლიუციონურ სინამდვილეს და იყენებდა შემოქმედების რეალისტურ მეთოდებს. ამ რეალისტური პროზის წარმომადგენლად გამოვიდა პროლეტარული მწერალი არაზი.

თანდათან, ჩვენმა პროლეტარულმა მწერლებმა ეს განყენებული განწყობილებები მიატოვეს და ეხლა გვყავან მთელი რიგი პროზაიკოსები. (ბევრი პოეტი პროზაზე გადავიდა), რომლებიც ახერხებენ კონკრეტულად მიუდგნენ ახალი ცხოვრების თემებს.

პოეზიაში ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს ეგიშე ჩარენცი. თავისი შემოქმედებითი მუშაობის ათი წლის განმავლობაში მან შექმნა საკმაოდ მრავალი მხატვრული ნაწარმოები. ამ ნაწერებში, უმთავრესად პოემებში, პოეტი უმღეროდა ოქტომბერს, სამოქალაქო ომის ეპოპეას, რომელშიაც თითონ იღებდა მონაწილეობას, შემდეგ მშენებლობის ენტუზიაზმს, ერთი სიტყვით, ფეხზე დამდგარი პროლეტარიატის გმირულ ეპოქას. მანვე დასწერა საუკეთესო სატირა პროზად) სომხეთის ნაციონალისტებზე, დაშნაკელებზე („ნაირის ქვეყანა“).

მომწიფებული პროზაიკოსია ალაზანი, რომელსაც აქვს მთელი რიგი მოთხრობები მუშათა მასის ცხოვრებიდან, ფაბრიკა-ქარხნის ყოფა-ცხოვრებიდან („არშაკ არიკიანი“, ნაწილობრივ „დეზერტირი“). უნდა აღინიშნოს, რომ ალაზანი ერთ-ერთი ისეთი მწერალთაგანია, რომელიც თავის თემატიურ მასალას მუშათა ყოფა-ცხოვრების გაშუქებით აფართოვებს.

ვშტუნი—გამოფხიზლების გზაზე შემდგარი აღმოსავლეთის მგოსანია. გასულ წელს მან გამოუშვა ლექსთა კრებული, რომელსაც უძლვნის ჩაგრული ხალხების ბრძოლას მიაგვრელთა წინააღმდეგ. მრავალ ნაწარმოებში ვშტუნის ახაისათებს ფორმალური მიღწევები, მას აქვს თავისებური სტილი, ფერადი აღმოსავლური ჟანრი, რაც განსაკუთრებულ ელფერს აძლევს მის პოეზიას.

დიდი პროზაიკოსია აქსელ ბაკუნცი, რომელმაც მოგვცა მთელი რიგი მოთხრობები ზანგეზურის სოფლის ცხოვრებიდან, ერთი სატირა ნაციონალიზმზე („ოქნატან მარჩ“). ამჟამად იბეჭდება მისი დიდი ნაწარმოები „წითელ ქვიანი„ („კარმრაკარ“) . ამ მწერლის პირველი პერიოდის—1925 წლამდე—ნაწერები პროლეტარული არ არის. ამ პერიოდის ნაწერებში სჩანს ავტორის სიყვარული დაღუპვის გზაზე შემდგარი ძველი სოფლის პატრიარქალურ ცხოვრებისადმი, ამ ნაწერებში ვერ ვხედავთ კლასობრივ მიდგომას. მისი ლიტერატურული მუშაობის შემდგომი პერიოდი თვალსაჩინოდ იცვლება. აქ უკვე ვხედავთ სოფლის სოციალისტური ფენების კლასობრივ დაპირისპირებას.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევეხებით სხვა პროლეტარულ მწერლებს, რომლებიც ყურადღების ღირსნი არიან. წერილის ფარგლები ამის საშუალებას არ გვაძლევს.

ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი პროლეტარული ლიტერატურა, რომელიც გარემოცულია წვრილ-ბურჟუაზიული ობივატელური მასით, დაცული არ არის იმისგან, რომ მისმა ზოგიერთმა წარმომადგენელმა მერყეობა და გადახრა არ გამოიჩინოს. მემარჯვენე გადახრამ იპოვა თავისი გამომხატველი პოეტი მაარი, რომელიც უთუოდ დაჯილდოებულია შემოქმედებით ნიჭით. ჩვენი სოფლის ჩამორჩენილობამ დააფრთხო იგი, ამით აიხსნება ის, რომ მას არ სწამს პროლეტარიატის ძალა, აქედან გამომდინარეობენ ის მოტივები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კონტრ-რევოლიუციონურად განწყობილი ფენების მისწრაფებებს ეთანხმებიან.

მემარჯვენე გადახრა ფრიად რეალურია. იგი დაძლეულ უნდა იქნას პროლეტარული ლიტერატურული ფრონტის კოლექტიური ლოზუნგებით.

კრიტიკა და თვითკრიტიკა—აი ის სწორი გზები, რომლებითაც ხელი უნდა შეუწყონ პროლეტარული იდეოლოგიის სიწმინდის დაცვას ამ ლიტერატურაში.

ლიტერატურული სექციები და სომეხ პროლეტარულ მწერალთა და თანამგზავრთა ჯგუფები და სექციები არსებობენ თბილისში და ბაქოში: სექციები საქართველოს და აზერბეიჯანის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციებთან. მაგრამ მათ შესახებ შემდეგ.

ა. სურხატ.

# ა. ეინშტეინი



ალბერტ ეინშტეინს, გამოჩენილ გერმანელ მეცნიერსა და ფიზიკოსს, ეგრეთწოდებული „შეფარდებულობის თეორიის“ ავტორს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა მიმდინარე წლის მარტში. 1921 წელს ეინშტეინი ნობელის პრემიით იქნა დაჯილდოვებული თავისი შრომებისათვის. მისი თეორია ერთხელ კიდევ ბრწყინვალეთ დაადასტურა ცდამ, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკელმა მეცნიერმა მაიკელსონმა ჩაატარა.

# საქართველოს მუზეუმის კოლექციები

## ხალდური წარწერა

გ. ჩიტაია.

საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში დაცულია ერთი ოთხკუთხი ფორმის ქვა, რომლის განი 78 სმ., სიმაღლე 50 სმ., ხოლო სისქე 49 სანტიმეტრს უდრის. ეს ქვა ჩამოტანილია ქ. ვანიდან (თურქეთი), სადაც იგი ამ ქალაქის უძველესი დროის ციხის კედელში ყოფილა დატანებული მის



**ხალდური წარწერა**
(საქართველოს მუზეუმის კოლექცია)

წინა გვერდზე ცხრა სტრიქონად ამოკვეთილია ხალდური ლურსმული წარწერა, რომელიც ხალდურად იკითხება ასე: „მე-ი-ნუ-ა-შე იშ-პუ-უ-ი-ნი-ხი-ნი-შე ი-ნი ე-სი ზა-ა-დუ-ნი სი-ე-ირ-ში-ნი-ი-ე მე-ნუ-ა-შე ა-ლი-ე ა-ლი ი-ნუ-სი-ი-ნი ჰა-არ-ნი-სი-ნი-ი სი-ირ-ში-ნი ტე-ირ-დუ-ლი-ნი ი-ნუ-კა-ნი ე-სი-ნი“. წარწერა პირობით ითარგმნება: „მენუამ, იშპუნის შვილმა, ეგვიტრად ავაგე ეს განსასვენებელი; მენუა ამბობს: ყოველი სამარხი-ეგვიტერი დეე განსვენების სახლად იყოს განკუთვნილი“. წარწერის ამოსაკვეთ იარაღებად ნახმარია სატეხი და ხელ-კვერი.

წარწერაში მოხსენებული მენუა სახელგანთქმული ისტორიული პირია, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის წინად მე-IX-ე საუკუნის ბოლოს და მე-VIII-ე საუკუნის პირველ მეოთხედში (810-778 წწ.) მოღვაწეობდა. იგი იყო მეფე იმ ქვეყნისა, რომელსაც ასურელები ჯერ ნაირს და შემდეგ ურართუს უწოდებდნენ (ურართუ უდრის დაბადების წიგნის არარათს და ჰეროდოტეს - ალაროდიოის). ამ ქვეყნის მოსახლეობა თავის მიწა-წყალს **ბაიანას** ეძახდა და თავის თავს ხალდეველებს და ბაიანელებს. ხალდების სამეფო ვანის ტბის გარშემო და ეფრატის და ტიგროსის სათავეების ჩრდილოეთით იდვა.

მენუა ცნობილია ისტორიაში, როგორც ბაიანის ცალკე სამთავროების გამაერთიანებელი და ცენტრალური მმართველობის შემომღები. მის დროს ბაიანაში აგებულა შესანიშნავი სასახლეები, გაყვანილა სარწყავი არხები, მოწყობილა წყალსადენები, საფუნდუკოები (თავშესაფარი სახლები) და სხვ. აღსანიშნავია, რომ მენუას დროს გამართული წყალსადენი, რომელიც შორეულ წყაროებიდან ბაიანას დედა-ქალაქს სასმელ წყალს აწვდიდა, დღემდე დაცულია და ამ წყალსადენით ამჟამადაც სარგებლობენ ქალაქ ვანის მცხოვრებნი.

მენუას დროს ბაიანა წარმატებით ებრძოდა სამხრეთით ასურეთს, დასავლეთით ამარცხებდა ხეთელებს და მათ ციხე-სიმაგრეებსართმევდა, ხოლო ჩრდილოეთით მისი საზღვრები ალაგიოზის და გოქჩის ტბის ხაზს აღწევდა.

მენუას ხანაში დაწყებული ბაიანას წარმატება შემდეგში კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიქნა. ბაიანას სამეფო მოკლე ხანში მსხვილ პოლიტიკურ ერთეულად გადაიქცა. მისი საზღვრები ხშირად მტკვრის აუზამდე მოდიოდა. ასურეთი და სხვა იმ დროის სახელმწიფოები შურით შესცქეროდენ ბაიანას გაძლიერებას. ამ დროს მეზობლებისათვის საზღაპრო შეიქნა ბაიანას სიმდიდრე. ერთ-ერთი ასურული წარწერა (714 წ. ქ. წ.) მოგვითხრობს ასურელების მიერ ბაიანას ერთ ტაძრიდან გაზიდული საუნჯის შესახებ. იქ მრავალ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და სპილენძის ნივთები შორის დასახელებულია: 6 ოქროს მრგვალი ფარი, რომლებიც ტაძრის კედლებზე ჰკიდებულა და ელვარებით თვალს სჭრიდა მნახველებს; 12 ვერცხლის ფარი; ოქროს ბოქლომები; ოქროს გასაღებები; ოქროს ხმლები; ოქროს შუბები; 33 ვერცხლის ეტლი; 394 ვერცხლის ჰურჰელი; 139 სპილოს ძვლის კვერთხი; სპილოს ძვლის ტახტი და მრავალი ბრინჯაოს ქანდაკება. ერთ ქანდაკებას ხალდური წარწერა ჰქონია: „ორი ცხენის და საომარი ეტლის შემწეობით—ურართუს სამეფო საკუთარი ხელით დავიბრუნე“.



ასურელების და ხალდეველების ბრძოლა XIII ს. ქ. წ., დამარცხებული არიან ხალდეველები

პოლიტიკურად ძლიერმა ხალდეველებმა კულტურული ძეგლების შექმნაც შესძლეს. ის, რაც მათ შემოქმედებაში ორიგინალობის იერს ატარებს, ოთხი ხაზით მჟღავნდება:ა 1) საკვირველი ნაგებობანი კლდეებში (სასახლე-დარბაზები, საქულბაქეები, ციხე-სიმაგრეები, წავარნები— შეადარე ჩვენში უფლის-ციხე და ვარძია); 2) შენობები ევროთ წოდებულ „ციკლოპურ“ რიგზე აგებული (შეადარე ხევსურული „დაკერილი“ წყობა); 3) სამელიორაციო და წყალსადენთა ნაშენობანი (ხალდურად „პილი“), რომელთა აგებას ლეგენდები დედოფალ სემირამიდას-შამირას მიაწერენ (შეადარე ჩვენში ეგრეთ წოდებული თამარ მეფის არხები არაგვზე, ალაზანზე და სხვ.) და



**ხალდური ლურსმული წერის ნიშნების ნაწილი: ასოები, სიტყვის მარცვლები და იდეოგრამები**

4) ლითონის დამუშავების ტექნიკა. ამ უკანასკნელის შესახებ ფიქრობენ, რომ ლითონის დამუშავება ასურელებსაც კი ხალდეველებიდან უნდა ჰქონდეთ ნასწავლი.

ამათ გარდა ხალდეველებმა ჩვენ დაგვიტოვეს გასაოცარი უზარმაზარი ქანდაკებები—ვეშაპები, რომლებიც მათ ღვთაებებს ანსახიერებენ ჲ „პულუჯები“ (ხალდურად)—ქვის სვეტები, რომლებზედაც მოცემულია მდიდარი ისტორიული შინაარსიის ლურსმული წარწერები. ეს უკანასკნელნი თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება ცნობილ „ტელ-ამარნას წერილებს“ და ბოღაზკიოის არქივს (იხ. „დროშა“, № 5, ხეთური ბარელიეფი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალდური წარწერები ასურული ლურსმული წერის რიგით (სისტემითაა) დაწერილი. ასურული ლურსმული ნიშნები მირგებულია ხალდური ასოების, მარცვლების ჲ იდეოგრამების გამოსახატავად და რადგანაც ხალდური ენა განსხვავდება ასურულისაგან — ასურული მწერლობა სრულად და სწორად ვერ გამოხატავს ხალდურ ბგერებს და სიტყვებს.

ამ ნაკლის მიუხედავათ ეს წარწერები ძვირფასი მასალაა მეცნიერებისათვის. წარწერები გვაწვდის ცნობებს არა მარტო ბაიანას შესახებ უშუალოდ, არამედ იმდროინდელ ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის შესახებაც. ესევე წარწერები

უძვირფასესი მასალაა ქალდური ენის შესასწავლად. კიდევ მეტი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მეცნიერები ხალდურს ქართველურ ენებს უნათესავებენ— წარწერები ამ მხრივაც მეტად საგულისხმო შესადარებელი ობიექტია.



ხალდური შენობა კლდეში.

მეცნიერების აზრით ხალდურის და ქართველური ენების ნათესაობა ამ ენების ფონეტიკაში, ეთიმოლოგიაში და ლექსიკაში აშკარავდება. კერძოდ ამტკიცებენ, რომ ხალდურს შემოუნახავს ისეთი სოციალურად დიდად მნიშვნელოვანი ქართული ტერმინი, როგორიცაა ერის-თავი. ხალდურში იგი გვხვდება „ერ-ტაუ“ და „ერ-ტა“-ს სიტყვების სახით, სადაც ეს სიტყვები ხალხის უფროსს, ჯარის უფროსს აღნიშნავენ. სხვათა შორის ბოლო დროს გონებამახვილობით გამორკვეული იყო, რომ ქართულად უძველეს ხანაში მზეს „არდი“ უნდა რქმეოდა. ხალდურშიც „არდი“—„არდინი“ მზის ღვთაებას ეწოდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული „არდი“-მზის და ხალდური „არდი“-„არდინის“ შეხვედრა, თუნდაც „არდის“ იდეოგრამა „ბარ“-„პარ“-ად იყოს წაკითხული, შემთხვევითი არ არის.

ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ გამოთქმულია მოსაზრება აგრეთვე ხალდეველების და ხეთელების ნათესაობის ქესახებ. ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ხალდეველები ხეთური მოდგმის აღმოსავლეთის შტოა, რომელიც XIII—XII სს. ქ. წ. უცხო მოდგმის შემოსევამ თავიანთ საცხოვრებელ ადგილიდან აჰყარა. როგორც მკითხველს მოეხსენება (იხ. დროშა, № 5, ხეთური ბარელიეფი) იმავე ხეთელებს ქართველებს უნათესავებენ. ამიტომ, აშკარაა, რომ ხალდეველ-ხეთელების ნათესაობა ხალდეველ-ქართველებისას კი არ დაუპირდაპირდება, არამედ ამ უკანასკნელს უფრო შეამაგრებს, რამდენადაც იგი საბოლოოდ დამტკიცდება.

ზემოთქმულის მიხედვით მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი მასალაა, სხვა ამგვარ მასალებთან ერთად, ის ხალდური ქვა-წარწერა, რომლის აღწერით ჩვენ ეს წერილი დავიწყეთ. საქართველოს მუზეუმს არა მარტო ეს ერთი, არამედ კიდევ 27 ხალდური ლურსმული წარწერა მოეპოვება, რომლებიც მომავალში გამოფენილი იქნება ფართო საზოგადოების საჩვენებლად.

გ. ჩიტაია.



შენობა კლდეში

ფოტო—ფურცხვანიძის.




ა. ყაზბეგის ძეგლი სოფ. ყაზბეგში (თბ. მაზრა)

# ებრაელ ულმერთოთა წრე ბანძაში



ებრაელ ულმერთოთა წრის წევრების ერთი ჯგუფი.

ბანძაში მცხოვრებ ებრაელთა ნაწილმა ნათლად შეიგნო, რომ სარწმუნოება არის იარაღი, რომლის საშუალებით ხუცები, ხახმები და ხოჯები ხალხს ატყუებენ, მონობაში და სიბნელეში ჰყავთ, რომ უკეთ ყვლიფონ. ებრაელთა ამ ჯგუფმა დაარსა ულმერთოთა წრე, რომელშიც 22 კაცი შედის. ისინი არ უქმობენ შაბათს, სისტემატიურად მეცადინეობენ, რომ თავიანთი კულტურული დონე აამაღლონ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათ მაგალითს სხვა კუთხეების ებრაელებიც მიბაძავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სმენა თვალებით

(თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა)

## ანასტასია კაიშაური

ადამიანისათვის დიდ სატანჯველს წარმოადგენს ყრუ-მუნჯობა და სმენის დაკარგვა. ამ ნაკლს იწვევს სხვადასხვა ავადმყოფობა, მაგალითად: ყელ-ჭირება, წითელა, ყვავილი, გრიპი, ციება, სიფილისი და სხვა. ყრუ მუნჯობა ხშირად შთამომავლობითია. სმენის დაკარგვა (დაყრუება) ერთი მხრივ ორგანიულია — ეს მაშინ როდესაც დაზიანებულია ტვინის ან და ყურის რომელიმე ნაწილი. მეორე მხრივ, ყრუ-მუნჯობას იწვევს სხვადასხვა ავადმყოფობაც. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, თუ რა დიდია ყრუ-მუნჯობის პროცენტი, თუ შეუღლებულთა შორის ნათესაური კავშირი არსებობს. პროფესორ რ ა უ ს და ლ ა გ ო ვ ს კ ი ს გამოკვლევით ყრუ-მუნჯთა შეუღლება იძლევა ბავშვთა ყრუ-მუნჯო-



ხელმძღვანელი ასწავლის სმენას თვალებით

ბის 4,5 პროც. დიდია ყრუ-მუნჯთა პროცენტი მხოლოდ ლოთ მშობლების, ნერვიული ავადმყოფთა და აგრეთვე იმ მშობლების შვილებს შორის, რომელთა ჰასაკი დიდათ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სიყრუეს მოსდევს მუნჯობაც. თუ ბავშვს არ ესმის დაბადებითვე, ის რასაკვირველია, ვერ გამოიმუშავებს მეტყველების მექანიზმს.

ყრუ-მუნჯობა შთამომავლობით ვრცელდება არამც თუ შვილებზე არამედ შვილიშვილებზედაც.

მეცნიერთა მთელი რიგი ცდები, მიმართული სმენის აღდგენისაკენ, ჯერ-ჯერობით პრობლემატიურია. ორი, სამი წელია, რაც დიდი



სკოლის მოწაფენი უკრავენ საყვირს. უკან მჯდომნი ცდილობენ გაიგონონ ხმები.

სენსაცია მოახდინა პროფ. სკრიცკის სასმენმა აპარატმა, მაგრამ გარკვეული შედეგები ჯერ აქაც არ გვაქვს. მკითხველის თვალსაზრისით მოკლებული არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ სმენის განვითარება შესაძლებელია, თუ სმენა ცოტაოდენ მაინც შერჩენილია.

ყრუ-მუნჯთ სმენის ანალიზატორი (ყურები) შეცვლილი აქვთ მხედველობითი ანალიზატორით თვალებით. მათ ახალი მეთოდის საშუალებით შესწავლილი აქვთ ტუჩების და ენის მოძრაობა. ამ მეთოდის საშუალებით ყრუ-მუნჯები იგებენ ან კითხულობენ სიტყვებს, ფრაზებს და რთულ აზრებს ისეთივე სიჩქარით, როგორც ჩვენ ვისმენთ ყოველივე აზრს.

ამ მეთოდმა ნიადაგი ჰპოვა რუსეთში რევოლუციის შემდეგ. მას უწოდებენ მალიშის მეთოდს. მალიში მასწავლებლად იყო გერმანიაში 30 წელი. ის შრომობდა როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად.

პირველად მან შემოიღო სიტყვითი მეთოდი. თუ აქამდი ყრუ-მუნჯს თუ ბგერის და მარცვლის საშუალებით აწყობინებდნენ სიტყვას, დღეს ამ ძველ მეთოდზე აიმარჯვა მთელი სიტყვითი ანუ სინტეტიურმა მეთოდმა. აქ ადგილი არა აქვს არავითარ ბგერის მეთოდს. ყრუ-მუნჯ ბავშვს აძლევენ მთელ სიტყვას, მხოლოდ, რასაკვირველია, აქაც მნიშვნელობა აქვს ერთგვარ სისტემას პირველად ყრუ-მუნჯთ გამოსათქმელად ეძლევა ტუჩების ბგერებიდან შემდგარი სიტყვა (მ, პ, ბ). რადგან ეს ბგერები უფრო ადვილად შესათვისებლად ითვლება, მასთან ერთად ყოველ თანხმოვან ასოს უნდა მოსდევდეს ხმოვან ასო, რადგან ხმოვანი ასო გამოსათქმელად უფრო ადვილია. როდესაც ყრუ-მუნჯი მკაფიოთ შეითვისებს ამგვარ სიტყვებს, შემდეგ შეიძლება სხვადასხვა წყობის სიტყვების მიცემა.

მალიშის მეთოდით მუშაობა დიდ ნაყოფს იძლევა, რადგან მისი საშუალებით ბავშვები ერთი წლის განმავლობაში იძენენ იმდენს, რამდენსაც სამ-ოთხ წელში იძენდნენ ბგერითი მეთოდით.

განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა ეს მეთოდი იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობის შემდეგ სმენა-დაკარგულს მეტყველების მექანიზმი უკვე გამომუშავებული ჰქონდა. უკანასკნელნი არაჩვეულებრივ სიჩქარით იგებენ ტუჩების ყოველ მოძრაობას და ხშირად ვერც კი მიხვდები, თუ წინასწარ არ იცი, რომ თქვენი მობაასე ყრუ არის.

1927 წ. მივედი ყრუ-მუნჯთა ინსტიტუტში — მოსკოვში და კარებთან დამხვდა 16—17 წ. ქალი. მე შევეკითხე — იქ იყო თუ არა პროფესორი. მან მშვენივრად მიპასუხა და მიმაცილა კიდეც პროფესორის კაბინეტამდე. მე იჭვი არ შემპარვია გოგონას ნორმალურ სმენაში და მეტყველებაში. მხოლოდ როცა ერთ საღამოს ამავე ქალს მივმართე კითხვით, მან პასუხის მაგიერ ხელი დამიჭირა, წამიყვანა სინათლესთან და დამიწყო ტუჩებზე ცქერა. აქ, რასაკვირველია, მივხვდი, რომ იგი ყრუ იყო და მხოლოდ ტუჩების მოძრაობით იგებდა ჩემს ლაპარაკს, ე. ი. სმენითი ანალიზატორი შეცვლილი ჰქონდა მხედველობაში ანალიზატორით.

მოსკოვში ყრუ-მუნჯთა ინსტიტუტთან სამი წელია, რაც დაარსეს კლუბი „ტუჩებზე ჩქარი კითხვისა". ამ კლუბში თავი აქვს მოყრილი დაყრუებულთ სხვადასხვა ავადმყოფობის ნიადაგზე ანდა ნერვიული სისტემის შერყევის ნიადაგზე. აქ ნახავთ: მსახიობს, მხატვარს, პროფესორს, მასწავლებელს და სხვა. ამ კლუბს ეწოდება „პროფ. რაუს სახელობის კლუბი". კლუბის წევრები დაყოფილნი არიან ჯგუფებად: უმცროსი, საშუალო და უფროსი. მათ ავარჯიშებენ სპეციალური მასწავლებლები. ექვს თვეში სმენა მოკლებულნი უკვე კარგად კითხულობენ ტუჩებზე.



მოწაფე ცდილობს გაიმეოროს თვალით გაგონილი ხმები

საქართველოში ყრუ-მუნჯობა უფრო გავრცელებულია, ვიდრე რუსეთში. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს მთის ჰაერის ბრალია და სხვა. თბილისში არსებობს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, აქვე თავი მოყრილი აქვს მრავალ ახალგაზრდობას რომელთაც სმენა დაუკარგავთ და მეტყველება კი შერჩენილი აქვთ. კარგი იქნებოდა, რომ ამ საზოგადოებამ იზრუნოს ამ ახალგაზრდობაზე, დაუბრუნოს ისინი საზოგადოებას ზემოაღნიშნული მეთოდის საშუალებით. ეს კი შესაძლებელია თუ დაყრუებული სმენითი



ყრუ-მუნჯები თამაშობენ ჭადრაკს

ორგანოს შესცვლის მხედველობითი ორგანოთი. ტუჩებზე კითხვითი მეთოდს უფრო დიდი შედეგი მაშინ მოაქვს, როცა დაყრუებულს შენარჩუნებული აქვს ნორმალური მეტყველება. რამდენიმე წლის შემდეგ მეტყველება ირღვევა რადგან სმენითი ორგანო მოკლებულია კონტროლს.

ა. კაიშაური.



ბ. ძნელაძის სახელობის სკოლის შენობა ხაშურში

# ჯანმრთელობის სამჭედლოში

## თბილისის ღამის სანატორიუმი

### სანდრო თბილისელი

საათისისარი განუწყვეტლივ წინ მიიწევს. ნახევარი, მეოთხედი საათი კიდევ და ქალაქის ყველა კუთხეში, ცენტრსა და გარეუბნებში, თითქოს ერთი-



ფოტო-კოგანის

**ლექციაზე.**

ერთმანეთის გამოჯიბრებით, ახმაურდებიან ქარხნების საყვირები.

დღის სამი საათია. ჩერდებიან მოტორები, ხრიალით და ჯახუნით სწყვეტენ მოძრაობას ჩარხები.

იქ, სადაც მეორე წყება არ მუშაობს, მეორე დილამდე ყველაფერი წყნარდება.

ქუჩები, დიდი ქალაქის ახმაურებული ქუჩები ამ საათიდან ახალი ხალხით ივსება. ზეთით გაპოხილი ტანისამოსით, გამჭვარტლული ტანით, მუშები მიეშურებიან ქალაქის სანაპირო უბნებისაკენ, ოხუნჯობითა და სიცილით იკავებენ ადგილებს ტრამვაიში.





**თითეული თავისებურად ისვენებს:** ფოტო-კოგანის

**ვინ ნარდს თამაშობს ან გაზეთს კითხულობს.**

**ან კიდევ როიალზე უკრავს.**

როდესაც ქარხნებში მუშაობა სწყდება, ჩაღდება მუშაობა ადამიანის სარემონტო სახელოსნოში—ღამის სანატორიუმში.

თუ საბჭოთა კავშირის ცენტრალური ადგილებისათვის ღამის სანატორიუმები ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცნენ, თუ მხოლოდ მოსკოვში 25 ასეთი სანატორიუმი ითვლება, ჩვენთვის სანატორიუმის ასეთი სახე ახალი საქმეა, რომელსაც ერთ თვეზე ცოტა მეტი შეუსრულდა.

საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა მუშებისა და მუშა-ქალების უდიდეს მასაში ბევრის ჯანმრთელობა შერყეულია. დაქანცვა, ნევრასტენია, ტუბერკულოზისადმი განწყობილება—ყოველივე ეს საკმაო არ არის მუშაობის სავსებით შესაწყვეტად, მაგრამ ამავე დროს ეს ნიშნები საშიშარნი არიან იმ მხრივ, რომ შესაძლებელია მათი გადაქცევა მძიმე ფორმის დაავადებად.

ეხლანდელი საბინაო კრიზისის დროს, ნაწილობრივ არასაკმაო მატერიალური უზრუნველყოფის პირობებში — ასეთი ავადმყოფებისათვის საუკეთესო და საიმედო გზას ჯანმრთელობისაკენ ღამის სანატორიუმი წარმოადგენს.

პატარა ოთახში, რომელიც ორად არის გატიხრული, მოწყობილია თავისებური „გასაწმენდელი", რომლის უკანასკნელი საზღვარი წყლის აბაზანაა.

სამუშაო ტანსაცმელთან ერთად ამ საზღვარს აქეთ რჩება სანატორიუმის პირველი პარტიის—24 კაცის—მოძრავი, მღელვარე ყოველდღიური ცხოვრებაც.

მუშები ისვენებენ განუწყვეტელი საექიმო კონტროლისა და გაძლიერებული კვების პირობებში. ოთახები სუფთა და ხათელია, მცვანით სავსე: მწვანე ფოთლებით დაფარულია მუშაბანდიან სასადილოს ჭერი, მაგიდებზე დადგმულია ყვავილების ქოთნები, პალმები... ყოველივე ეს ამ სადგომს თავისებურ საზამთრო ბაღად აქცევს. სინათლე და მწვანე ფერი თვალს ახარებს.

ხუთის ნახევარზე სანატორიუმში მყოფნი ღებულობენ სამი თავიდან შემდგარ ნოყიერ სადილს, ამას მოჰყვება მოკლე ხნის დასვენება და... მკვდარი საათი. სძინავთ 7 საათამდე. ამ ხნის განმავლობაში მოსამსახურე პერსონალი ფეხაკრეფით დაიარება—დასვენება ჯანმრთელობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა.



ფოტო-კოგანის

**წონაში მატულობს ყველა.**

ჩაი, ვახშამი და საუზმე კვერცხებით, ყველით, კარაქით და რძით საუცხოვოდ



**სადილობენ.** ფოტო-კოგანის

ამაგრებს ჯანმრთელობას. კვებას, კალორიების განსაზღვრული რაოდენობის მიღებას, სანატორიუმში ძირითად ყურადღებას აქცევენ.

ხოლო დანარჩენ დროს სანატორიუმში მყოფნი ატარებენ დასვენებულთა ხალისიანი ცხოვრებით. დასასვენებლად აქ არის ჟურნალები, გაზეთები, სათამაშოები, როიალი და რადიო — ე რ თ ა დ ერთი კავშირი „ცოცხალ" ქვეყანასთან სახლს გარეთ.

დასაძინებელი ოთახი სამია, რომლებშიაც მხოლოდ 25 კაცი ეტევა. ეს ცოტაა... აქ დასვენების მსურველთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს, ვინაიდან მკურნალობის ასეთი მეთოდის შედეგები ყველასთვის თვალსაჩინოა.

ყველა ავადმყოფს ემატება წონა. ზოგს 4 კვირაში 3—4 კილოგრამი ემატება.

ათ საათისათვის სანატორიუმი უკვე მიწყნარებულია. სძინავთ ნახევრად ღია ლანჯრებთან, რომ პირველ საყვირზედვე გაიღვიძონ და სამუშაოდ წავიდნენ.

საყვირიდან საყვირამდე მუშაობს ეს ჯანმრთელობის სამჭედლო და დღითი-დღე ამაგრებს მუშის ჯანმრთელობას, წარმოებას და ოჯახს უბრუნებს ჯანსაღ ადამიანს.

**სანდრო თბილისელი.**

# ზღვიდან ზღვამდე

## ბაქო-ბათომის ნავთსადენი




„ნავთის საკითხი—სასიცოცხლო საკითხია, ვინაიდან იმაზე, თუ ვის ექნება მეტი ნავთი, დამოკიდებულია, თუ ვინ იქნება მბრძანებელი მომავალ ომში. იმაზე, თუ ვის ექნება მეტი ნავთი, დამოკიდებულია, თუ ვინ იქნება მსოფლიო მრეწველობასა და ვაჭრობის მბრძანებელი",— ასე დაახასიათა მეთოთხმეტე პარტყრილობაზე ნავთის როლი ამხ. სტალინმა.

ამ დახასიათებაში იოტის ოდენა გადაჭარბება არ არის. ნავთი ამოძრავებს არა მარტო მოტორებს, არამედ საგარეო პოლიტიკის მამოძრავებელიცაა: უკიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთელი უკანასკნელი ათეული წლების საგარეო პოლიტიკა ნავთითა და ბენზინითაა გაჟღენთილი.

საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხებისათვის ნავთი არის არა მარტო ისეთი პროდუქტი, რომელიც სასიცოცხლო როლს თამაშობს ჩვენი მრეწველობის აღდგენისა და შემდგომი გაფართოების საქმეში, არამედ საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორიც, რომლის საშვალებით ჩვენ არა ერთი და ორი იმპერიალისტური ინტრიგა ჩაგვიფუშავს.

ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაცია და საბჭოთა ნავთის პროდუქტების გასაღების მონოპოლია დღემდი ჰკვებავს მძლავრი კაპიტალისტურ ჯგუფების სიძულვილსა და მტრობას პირველ მუშურ-გლეხური რესპუბლიკისადმი. ეს მტრობა და სიძულვილი და დაკარგულ ნავთის სიმდიდრეთა დაბრუნების სურვილი ხოგჯერ ისეთ ავანტიურისტულ აბიჯებს ადგმევინებდა ბაქოს ნავთის ყოფილ ბატონ-პატრონებს, როგორიც არის თავდასხმა არკოსზე, ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტა და სხვ. ეხლა უკვე სავსებით გამორკვეულია, რომ ჯოინსონ ხიკსი და ჩემბერლენი დეტერდინგის ნება-სურვილს ასრულებდნენ, როცა საბჭოთა წარმომადგენლობა გამოისტუმრეს ლონდონიდან.

მაგრამ დღეს იგივე დეტერდინგი იძულებულია დათმობაზე წავიდეს და შეთანხმება დასდოს საბჭოთა ნავთის გამსაღებელ ორგანიზაციებთან. საბჭოთა ნავთმა მოიპოვა ცნობა და შესაფერი ადგილი მსოფლიო ბაზაზე. ეს გამარჯვება უმთავრესად უნდა მიეწეროს იმ მილიონიან მუშათა არმიას და ტეხნიკურ პერსონალს, რომელიც თავგამოდებით იბრძვის ნავთის მრეწველობის აღდგენის ფრონტზე და მიაღწია ისეთ შედეგებს, რომ განცვიფრებაში მოჰყავს უფრო მეტი ტეხნიკურ-ფინანსიური საშუალებების და გამოცდილების მქონე ნავთის მრეწველთა წრეები.

8 წლის წინათ, ცნობილი ინგლისელი ნავთის მრეწველი ლესლი ურკვარტი, რომელსაც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა ხელი აალებინეს თავის საწარმოებზე ციმბირში, ლევ რძლიანად ამტკიცებდა, რომ ჩვენს ნავთის მრეწველობას გაჩანაგება მოელის.

„რუსეთის ნავთის სარეწაოები ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ დიდი ხნით შეუძლებელია ნავთის რაიმე ექსპორტი. ნავთის მოპოების ასაყვანად 1917 წლის დაბალ დონეზე, საჭირო იქნება ხუთი წელი ახალი ჭაბურღილების ამოსაღებათ. ეს მოითხოვს ხარჯს, რომელიც მე არ შემიძლია გ ნვსაზღვრო ნაკლებ, ვიდრე 20.000.000 გირვანქა სტერლინგით (ე. ი. 200.000.000 მანეთი). სარეწაოების ძველ მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ხარჯები ხომ სხვაა. მრავალი წლების განმავლობაში რუსეთი იქნება ნავთის იმპორტიორი და არა ექსპორტიორი".

მაგრამ სინამდვილემ საშინლად დასცინა ლესლი ურკვარტს.

ჩვენმა „პატივცემულმა" მტერმა თავის „ანგარიშზე" მხედველობიდან გაუშვა ენტუზიაზმი ნავთის მრეწველობის პატრონად გამხდარ მუშების, რამაც გადალახა ფინანსიური და ტეხნიკური დაბრკოლებებიც.

მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრები:

1927—28 წელს ბაქოს ნავთის პროდუქციამ მიაღწია ომის წინადროინდელ დონის 131 პროცენტს და 294,6 პროცენტს პირველ აღდგენითი წელიწადთან (1921 წ.) შედარებით.

ბაქოს ნავთის ექსპორტი 1913 წელს უდრიდა 914.000 ტონას, 1923—24 წელს—723.176 ტონას, 1926—27 წელს კი—2.728.000 ტონას.

ცხადია, რომ ნავთის პროდუქტების ასეთი დიდი რაოდენობის გადაზიდვა მოითხოვს ტრანსპორტის სათანადოდ მოწყობას. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნავთის პროდუქციის უმეტესი ნაწილი ბათომის ნავთსადგურიდან გადის, მაშინ ცხადი შეიქნება, რომ სწორედ ამ უბანზე უნდა მოეწყოს ყველაზე უკეთ ნავთის ტრანსპორტის საქმე. ნავთის პროდუქტების ადიზიდვა მატარებლებით საერთოდ ძვირი ჯდება. გარდა ამისა, ჩვენს პირობებში მხედველობაში მისაღებია კიდევ ის გარემოება, რომ რკინის გზის ერთი ხაზით შეუძლებელი ხდება ნორმალური სამგზავრო მიმოსვლის, სხვადასხვა ტვირთების გადატანის და ნავთის პროდუქტების გაძლიერებული გადაზიდვის უზრუნველყოფა.

ამიტომ არის, რომ „აზნავთმა" ნავთის ექსპორტის შემდგომი გაფართოების უზრუნველსაყოფად, გასანკუთრებული ყურადღება მიაქცია ნავთსადენების მშენებლობას—ნავთის პროდუქტების მილებით გადაქაჩვას იმ ადგილამდე, საიდანაც იგი გატანილი იქნება საექსპორტოდ ან განაწილდება შინაურ ბაზარზე. გარდა ძველი ნავთსადენისა, რომლითაც ბაქოდან ბათომში მიდიოდა გაწმენდილი ნავთი, სწარმოებს მუშაობა ახალი ნავთსადენის გასაყვანად. ამ ნავთსადენის ერთი უბანი—ბათომ-ხაშურს შუა—უკვე დასრულებულია და 13 თებერვლიდან დაიწყო მუშაობა. მეორე ნაწილზე—ბაქოდან ხაშურამდე—სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა.

ვინაიდან ბათომში ეწყობა ნავთის გადამმუშავებელ ქარხნების მთელი ჯგუფი, საჭირო აღარ არის წმინდა ნავთის გადაქაჩვა ბაქოდან ბათომში, ამიტომ ძველი ნავთსადენი გადაკეთებული იქნება გაუწმენდავი ნავთის გადასაქაჩავად. სათბობ მასალათა მთავარ სამმართველოს გეგმით „აზნავთის" სარეწაოებზე 1932-33 წელს მოპოებული უნდა იქნეს 13.450.000 ტონა ნავთი. ცხადია შესაფერად გაიზარდება ექსპორტიც და ორი ნავთსადენი არ იქნება საკმაო საექსპორტო და გადასამუშავებელი ნავთის გადასაქაჩავად. ამიტომ, ამ დროისათვის გახზრახულია მესამე ნავთსადენის გაყვანის დასრულება ბაქო-ბათომს შორის. ამრიგად, 1933 წლისათვის ბაქო სამი ნავთსადენით იქნება დაკავშირებული ბათომთან. სამივე ნავთსადენით წლიურად ზღვიდან ზღვამდე გადაქაჩული იქნება 4 მილიონი ტონა ნავთი.

როგორც ვხედავთ, სინამდვილე ძლიერ შორს არის ლესლი ურკვარტის შავი წინასწარმეტყველებიდან.

საბჭოთა ნავთის, კერძოთ ბაქოს ნავთის მრეწველობა, ურკვარტ-დეტერდინგების მახინაციების მიუხედავათ, შეუჩერებლად იზრდება და ფართოვდება.

ე. წ.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



ფოტო—კოგანის

ამხ. მ. თიკაშვილი ტრამვაის მუშათა კრებაზე მოხსენებას აკეთებს სასამართლოს ორგანოების მუშაობის შესახებ.



ფოტო—კოგანის

სას.-სამ. გადასახადის საკითხების განსახილველად მოწვეულ პირველი სრ. საქ. თათბირის მონაწილენი.



ფოტო—კოგანის

ებრაელთა მიწადმოქწყობ საზოგადოების პირველი კონფერენცია თბილისში.



ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმის სახელოსნო



ჯაჭვის ხიდი მდ. ხანის-წყალზე ბაღდათში. (ქუთ. მაზრა)



ფოტო—კოგანის

თათბირი თესვის საკითხებზე მუშათა და გლ. ინპექციაში.



წყალდიდობის მოლოდინში.—მდ. ყვირილის ნაპირების გამაგრება ვარციხის მამულთან (ქუთ. მაზრა).

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი—კამოს ქ. № 68.

## ვინ ჩამოხევდა.



— ეს მეორე შემთხვევაა, რომ კედლის გაზეთი ჩამოხია ვიღაცამ!

— ალბად კიდევ ეწერა რამე ჩვენი ადგილკომის მდივნის შესახებ!

—:—

## სამართლიანი ფასი

— შენი შეფასებით რამდენი ღირება ეს ახლად აგებული სახლი?

— ღირებულობით არაფერი არ ღირს, ხოლო ბევრი რომ დაჯდა, ეს კი ვიცი!

—:—

## „გზა შეეშალა“

— მეზობელო! თქვენი ცოლი საზიზღრათ იქცევა! ეს მეორეჯერაა ჩემს ცოლს მიუვარდა სამზარეულოში და თავი გაუტეხა!

— მერე მე რომელი დამხლეველი სალარო ვარ... შე დალოცვილო!

—:—

## „სახელმწიფოს“ მოვლა უნდა.

რომის პაპამ, მას შემდეგ, რაც მისი საერო ხელისუფლება იცნო მუსოლინის მთავრობამ, აეროპლანი შეიძინა თავის „სახელმწიფოს“ საზღვრების დასაცავად.



**რომის პაპა:** ღმერთი კია ჩემი შემწე, მაგრამ აეროპლანი ტყვიამფრქვევით უფრო საიმედოა.

(„რაბ. გაზ.“)

## ემიგრაციაში

— რას შვრები, კაცო, რას ითვლი მაგ ფეხის თითებზე?

— საბჭოთა ხელისუფლების ყოველი წლის თავს ხელის თითებზე ვითვლიდი, მაგრამ ეხლა ხელის თითები აღარ მყოფნის და ფეხის თითებიც დავსაქმე.

— ფეხის თითებიც რომ გამოგელევა, მერე რაღაზე დაითვლი?

— მერე კი შევურიგდები ბოლშევიკებს. ოცი წლის ემიგრანტობის სტაჟიც მეყოფა.

ა. ბ.

—

## უტყუარი წინდახედულობა

— სად მიხვალ მიხო!

— ალმასკომში მივალ, ჩვენს მიწის კომისიას ტრაქტორი მინდა ვთხოვო!

— ჯერ ხომ ადრეა მიწის ხვნა?

— ადრეა, მაგრამ სანამ მე ანკეტას შევავსებდე ტრაქტორის მიაღებათ ძიწის ხვნის დროც მოვა!

—:—

## „თვითკრიტიკა“

კრებამ ერთხმად აირჩია საბჭოს თავმჯდომარეთ ძველი თავმჯდომარე ივანე გიგაური.

— არა, ამხანაგებო,—განაცხადა გიგაურმა. —მეყო, რაც შარშან პეტრე ჭინდიაშვილმა მლანძღა და მაკრიტიკა, ახლა თვითონ მინდიაშვილი აირჩიოთ, რომ ახლა მე ვლანძღო და ვაკრიტიკო. მეც კაცი ვარ და თავმოყვარეობა მაქვს.

ა ბ.

—

## აგრომოხსენებაზე

— აი, ამხანაგებო! თუ გინდათ, რომ მოსავალი კარგი და ბევრი იყოს ამიტომ აუცილებლად უნდა გაეცნოთ აგრონომიას!

— (ერთი მსმენელთაგანი)—ჰმ! მაშ აქაც ნაცნობობა ყოფილა საჭირო, ისე არაფერი კეთდება!

—

## „იშვიათი დაწესებულება“

გლეხი შევიდა თბილისის ერთ-ერთ დაწესებულებაში უბრალო ცნობის მისაღებად. ეს იყო 16 მარტს, სრულ 12 საათზე. მიიღო ცნობა და პირველის 5 წუთი იყო, რომ დაწესებულებიდან გამოვიდა.

თქვენ, ალბად, გაგიკვირდებათ და იკითხავთ: გლეხმა 5 წუთში როგორ მოახერხა ცნობის მიღება, მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია, თუ მხედველობაში მიიღებთ, რომ გლეხმა ეს ცნობა, მართალია, პირველის 5 წუთზე მიიღო, მაგრამ არა 16 მარტს, არამედ 26 მარტს.

ა. ბ.

—



მინდვრის სამუშაოები პოლონეთში.

(„კრასნ. ზვეზდა“)

—

## მუშკორის „დაწინაურება“

— ამხ. მდივანო, კრების დღის წესრიგში შეიტანე მუშკორ კალმიძის დაწინაურების საკითხი.

— რა თანამდებობაზე გინდათ გადაიყვანოთ?

— ლაბორატორიის გამგეთ!

— კი, მარა ის ვერ შესძლებს ლაბორატორიის გაძღოლას, ჯერ გამოუცდელია.

— სულერთია, ოღონდ მე კი თავიდან მოვიშორო და მოვისვენო.

ა. ბ.

—

## სასადილოში



— რა გაქვთ ახალი?

— ფასები, მოქალაქევ!

—

მთავლიტი № 497. ტირაჟი 4100.    3/ტ მე-5-ე სტამბა.    გაზ. „კომუნისტის“-ს გამომცემლობა.